

# საგუნგებორობანას ვირუსი

ნაწილი II

სამოქალაქო იდეა



ხელები



სახე



მანძილი



**ლიზინი / დაბეჭდვით:**

**თამარ ტყაბლაძე**

**კვლევაზე მუშაობდნენ:**

**თამარ ავალიანი**

**ნანა აკოფიანი**

**ზურაბ ახობაძე**

**თინათინ ხილაშვილი**

**ბიორგი კანაშვილი**

**თარგმნა:**

**შპს „ვერსიო“**

გამოცემულია ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეა“ მიერ, დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის ბიბლიოთეკის ფარგლებში Black Sea Trust და პრომედოსის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები, შესაძლოა არ გამოხატავდეს დამფინანსებელი ორგანიზაციის პოზიციას. შესაბამისად ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

© სამოქალაქო იდეა, 2020

[www.civicidea.ge](http://www.civicidea.ge)

# საგუნდო უსაფრთხოება პირველი

ნაწილი II

სამოქალაქო იდეა



ხელები



სახე



მანძილი



# სარჩევი

შესავალი-----	6
მეთოდოლოგია და კვლევის ლიმიტები -----	9
რასისტული გამოვლინებები აზერბაიჯანული თემის მიმართ და სახელმწიფო რეაგირების პოლიტიკა -----	10
ქსენოფობიური და რასისტული გამოვლინებების გამომწვევი მიზეზები -----	15
დომინანტური ნარატივი - „ჩვენ“ და „სხვები“ -----	16
კულტურათა გაუცხოების, ადგილობრივი კულტურის წაშლის და ქართული კულტურის დომინაციის ნიშნები -----	20
ნარატივი - „ენა, რომ არ იცით, უნდა გაჩუმდეთ და უფლებები არ მოითხოვოთ“-----	24
უმცირესობები, როგორც საფრთხე-----	27
სახელმწიფოსა და მედიის გამოწვევები უმცირესობების ინფორმირებასთან დაკავშირებით და თანმდევი შედეგები -----	29
რელიგიური დომინაცია და არამართლმადიდებლების გარიყვის პოლიტიკა-----	32
რასისტული გამოვლინებები აზერბაიჯანული თემის მიმართ და სახელმწიფო რეაგირების პოლიტიკა -----	33
მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სახელმწიფო რეაგირების პოლიტიკა-----	34
ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები -----	34
უმცირესობები, როგორც საფრთხე-----	37
ერთადერთი პოლიტიკური პრიორიტეტი - საქართველოს სახელმწიფოს სწორება, სახელმწიფო ენის შესწავლაზე -----	39
კულტურათა გაუცხოების, ადგილობრივი კულტურის წაშლის და ქართული კულტურის დომინაციის ნიშნები -----	42
შეჭამება და რეკომენდაციები -----	43
ტერმინთა განმარტებები -----	45
ბიბლიოგრაფია-----	46
რესპოდენტები -----	49
ორგანიზაციები ეროვნულ დონეზე -----	50
საერთაშორისო ორგანიზაციები -----	51

კოვიდ პანდემიამ და მის ფონზე მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ჩაკეტვამ, ნარიმან ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებულმა პერიპეტეიებმა და დავით გარეჯის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, საზოგადოებაში ათწლეულობით გამჭდარი უთანასწორობისა და რასიზმის ღრმა და დაფარულ პრობლემას ახადა ფარდა. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობით ცდილობს განავითაროს უმცირესობების მიმართ თანასწორობის პოლიტიკა, კვლავ პრობლემად რჩება მულტირელიგიური და მულტიეთნიკური სახელმწიფოს მშენებლობა და უმცირესობის თემის რეალური ინტეგრაცია.

გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან დღემდე, საქართველომ ვერ დაძლია ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის ნარატივი, რომ „ქართველი ნიშნავს ქრისტიანს“, ხოლო სხვა დანარჩენი არის „სტუმარი“ და „სხვა“. დისკურსი - „ჩვენ“ და „სხვები“ სხვა უმცირესობების მსგავსად საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ თემზეც ვრცელდება, თუმცა პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მძაფრად სწორედ მათ შეეხო. საზოგადოების მიერ აზერბაიჯანული თემის „უცხოოდ“ მიჩნევას, განსხვავებული ეთნოსისადმი კუთვნილების პარალელურად, აადვილებს ხშირად ქართული ენის არცოდა და ისლამის მიმდევრობა. დომინანტური ეთნოსის თვალში, აზერბაიჯანული თემი სტერეოტიპულად, ჩამორჩენილ და ნაკლებად განვითარებულ სუბიექტად მიიჩნეოდა და მიიჩნევა. ერთ-ერთი აზერბაიჯანელი აქტივისტის - ქამრან მამედლის აზრით, ისინი იყვნენ მოთვინიერებული „განცხვაროსნებული“ თემი.

თემის ინტეგრაციის დაბალი დონე, ბევრი ჩინოვნიკისა თუ პოლიტიკოსისთვის, როგორც წესი აზერბაიჯანული თემის ბრალია და ბრალდების ხაზი სახელმწიფო

ენის არცოდნაზე გადის. ხოლო ენის არცოდნის პრობლემა იმდაგვარად არის წარმოდგენილი, თითქოს, თავად თემს არ სურს სახელმწიფო ენის შესწავლა და ინტეგრაცია.

სახელმწიფო უმცირესობების თემს ექსკლუზიურად უსაფრთხოების პოლიტიკის პრიზმიდან უყურებს. ამგვარი მიდგომის საფუძველი კი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბებული ნარატივია, რომ თითქოს აზერბაიჯანულ თემში, ზუსტად ისევე როგორც სომხურ თემში, არსებობდა სეპარატიზმის საფრთხე. აქვე სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არასოდეს, არც ერთი ხელისუფლებისთვის აზერბაიჯანულ თემს რაიმე კონკრეტული, ხელშესახები მიზეზი არ მიუცია და სრულიად ლეგიტიმური იქნებოდა მათი ლოიალობა ქართული სახელმწიფოს მიმართ ზუსტად ისევე გაგვეზომა, როგორც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი სხვა ეთნოსის, ქართველების ჩათვლით.

ეთნიკურ-რელიგიური ნაციონალიზმის გაღრმავების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ეკლესიის მიერ უმცირესობებით დასახლებული რეგიონების „ქრისტიანულ ტერიტორიად“ მონიშვნაზე მიუთითებს ქვემო ქართლში ადგილობრივი ეპარქიისა და სამღვდელთა აქტიურობა და მუსლიმურ სოფლებში ქრისტიანული ჯვრების აღმართვის ტენდენცია.

აზერბაიჯანული თემის მიმართ პანდემიის დროს გამოვლენილ ქსენოფობიურ განცხადებებთან ერთად, ეთნორელიგიური ნაციონალიზმის ნარატივის გაგრძელებას წარმოადგენს ნარიმან ნარომანოვის ძეგლთან დაკავშირებული პერიპეტეიები და დავით გარეჯის საკითხი. ამ საკითხების უკან, კულტურული განზომილების გარდა, გადამალულია სწორედ პოლიტიკური რეპრეზენტაციის, მონოეთნიკური და მონორელიგიური დომინაციის საკითხი.

ნარიმანოვის ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით მარნეულისა და ჰუკაბის ეპისკოპოსის მიერ რელიგიური შუღლის

გამღვივებელი განცხადებები სახელმწიფოსგან სამართლებრივი პასუხის გარეშე დარჩა, მაშინ, როდესაც, კრიტიკული მოსაზრებების გამო, სუს-მა გამოძიება დაიწყო საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს ხელმძღვანელის წინააღმდეგ, სრულიად ბუნდოვანი საფუძვლით - საბოტაჟის ბრალდებით. მარნეულისა და ჰუტაბის ეპისკოპოსის განცხადებების ეთნიკური და რელიგიური შუღლის გამღვივებელ შინაარსზე და გარეჯის თემით მანიპულირებაზე არც ხელისუფლების წარმომადგენლებს ქონიათ რაიმე რეაგირება, პოლიტიკური განცხადება-შეპასუხების ფორმითაც კი.

თავისთავად ნარიმანოვის ძეგლის საკითხი ერთი შეხედვით მარტივია. ქვეყანაში მოქმედი თავისუფლების ქარტიის მოთხოვნები თანაბრად უნდა გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე მიუხედავად სუბიექტის ეროვნებისა, ჩვენ ვეწინააღმდეგებით ფილიპე მახარაძის ან სერგო ორჭონიკის ძეგლებს, ქუჩებს, სკვერებს და სხვა, ზუსტად ანალოგიური უნდა იყოს მიდგომა ნარიმანოვის მიმართაც, რომელიც რომელიც აზერბაიჯანის გასაბჭოების ერთ ერთი მთავარი მოქმედი გმირია, თუმცა ამავდროულად ამ ერთი შეხედვით მარტივი სამართლებრივი საკითხის ეთნიკური შუღლის გაღვივებისთვის გამოყენება, ბუნებრივია კანონსაწინააღმდეგოა და საქართველოში სამოქალაქო ერის ჩამოყალიბების ამოცანას არ ემსახურება. გონიერი ქვეყანა და ხელისუფლება თავისუფლების ქარტიის მოთხოვნების განხორციელებას პარალელური ღონისძიებების ფონზე განახორციელებდა. მაგალითად, როდესაც უკვე გამოცხადებულია ფარი-ხანუმის მემორიალის კონკურსი, დამტკიცებულია სახელმძღვანელოებში მირზა ფათალი ახუნდოვის სწავლება და სხვა.

ქვეყანაში, სადაც დღემდე დაობენ სტალინის ძეგლების საჭიროება-კანონიერებაზე და სადაც არასოდეს გვსმენია მაღალი სასულიერო იერარქიის წარმომადგენელთა განცხადებები, რთულია ვინმე დავაჭეროთ, რომ რომელიმე კონკრეტულ

მეუფეს თავისუფლების ქარტიის დებულებების შესრულების და კანონის უზენაესობის მოთხოვნის გააკეთებინა ზემოთ მოყვანილი განცხადებები. პოლიეთნიკურ სახელმწიფოში უმცირესობების სიმბოლოებთან (ძეგლები, წიგნები, კულტურისა და რელიგიის ნიმუშები და სხვა) დაკავშირებული ნებისმიერი ამკრძალავი ქმედება, რაოდენ კანონიერიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის იქნება დამატებითი განხილვის საგანი თუკი თანასწორობის ტექსტს ვერ დააკმაყოფილებს და არ არის შეთავაზებული კონსენსუსის მიღწევის ფორმატში.

შესაბამისად, აბსოლუტურად ზუსტად აღწერს პრობლემასა და დილემას, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინაშე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე პანკისის სათემო რადიოსთან ინტერვიუში:

”

უნდა ავუხსნათ, ვინ იყო ეს კაცი. უნდა ავუხსნათ ასევე ჩვენს აზერბაიჯანელ მეგობრებს, რომ ნარიმანოვის ძეგლი განა იმიტომ არ მოგვწონს, რომ ვეწინააღმდეგებით აზერბაიჯანელის ძეგლის დადგმას მარნეულში, არა, მე ვიტყვოდი, პირიქით, აუცილებელიცაა სწორედ ისეთი აზერბაიჯანელის ძეგლის დადგმა, რომელსაც რაღაც დამსახურება აქვს ქართულ-აზერბაიჯანულ მეგობრობაში.

არის მესამე ძალა, რომელიც სწორედ ამას ცდილობს, რომ რაიმენაირად დაძაბოს ეს ურთიერთობები, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები არ დაიკარგოს.

სანამ ნაბიჯს გადავდგამთ, მანამდე უნდა დავფიქრდეთ. ნარიმანოვის ძეგლი არ უნდა იდგეს მარნეულში, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ძეგლი მოვხსნათ, არ არის ძალადობა და ულტიმატუმების ენა საჭირო. თუ გნებავთ, მეც წავალ,

სხვებიც წავლენ, ლექციების მთელი ციკლი ჩავატაროთ ამასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყო ნარიმან ნარიმანოვი, რომელი ფასეულობები უნდა გამოვყოთ, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. არიან ადამიანები, რომლებმაც ჩემზე ბევრად უკეთ იციან ბორჩალოს ისტორია, იციან ქართველი აზერბაიჯანელების ისტორია, მოდიოთ, იმათაც მივცეთ ხმის ამოდების საშუალება და ვკითხვით, ვისი ძეგლი უნდა დაიდგას, ვინ უნდა იყოს ხალხის მაგალითი, რატომ უნდა იყოს ეს ადამიანი მაგალითი, იმიტომ, რომ ჩვენი მომავალი თაობა უნდა გაიზარდოს არა ნარიმან ნარიმანოვებზე, არამედ მართლაც ფასეულ ადამიანებზე.“

არანაკლებ შემაშფოთებელი იყო კოვიდის დროს გაჩენილი აგრესიული [ნარატივი](#) - „გავიდნენ და დავით გარეჯთან დადგნენ“. ამგვარი შოვინისტური გამოხატულებები ცხადად აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი არადომინანტურ ჯგუფებს მეზობელი სახელმწიფოს გავლით უყურებს. თავისთავად - „დავით გარეჯთან დადგნენ“ უნდობლობაზე, ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალობის ნაკლებობაზე მიაჩნებოდა და ერთგვარი მოწოდებაა სწორი საქციელისკენ - საქართველოს უნდა დაუდგნენ გვერდით.

ერთიან ქსენოფობიურ და ეთნიკური შუღლის გამღვივებელ დისკურსში ეწევა პოლიტიკური პარტია - [„პატრიოტთა ალიანსის“](#) ბოლო პერიოდის ანტითურქული განცხადებებიც იმასთან დაკავშირებით, რომ „თურქეთს აჭარის და აფხაზეთის მიტაცების ინტერესები აქვს.“ „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელთა განცხადებებში აშკარად იკვეთება რომ ისინი თურქი ეროვნების ხალხის მიმართ მტრის ხატის შექმნას ისახავენ მიზნად, რასაც სრულიად ერთმნიშვნელოვნად ებმის საქართველოში მცხოვრები მუსლიმების საკითხიც.

2020 წლის პანდემიამ ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს სოცია-

ლურ პოლიტიკაში არსებული მძიმე გამოწვევებიც გამოავლინა. კარანტინის დროს, ჩაკეტილი მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობა სოციალური კრიზისისა და რასისტული განწყობების პირისპირ, მართო აღმოჩნდა. ინფორმაციული იზოლაციის გარდა, ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის თემი სოციალურ გარიყულობასაც შეეჭახა. ჩაკეტილ მინიციპალიტეტებში დაიხურა ბაზრები და შეწყდა შიდა გადაადგილებები. ათიათასობით ოჯახი, ყოველდღიური შემოსავლისა და სარჩოს გარეშე, სიღარიბის პირისპირ, მართო დარჩა.

მუნიციპალიტეტებში შექმნილი მწვავე სოციალური და ჰუმანიტარული კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენდა ის, რომ მარნეულისა და ბოლნისის ჩაკეტვიდან (23 მარტიდან) 3 კვირის განმავლობაში, დახმარების თხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაცია - [EMC](#)-ის 100-ზე მეტი ოჯახი დაუკავშირდა. მომართვების ყველაზე დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან ჰუმანიტარული მხარდაჭერის მიღებისა და მძიმე სოციალური საჭიროებების გადაჭრის თხოვნას უკავშირდებოდა.

ცენტრსა და პერიპფერიებს შორის ხიდ-ჩაკეტილობისა და სოციალური გარიყულობის შეგრძნების გამოძახილი იყო კარანტინის პერიოდში, 2020 წლის 14 აპრილს, მარნეულის მოსახლეობის სოციალური პროტესტი - ე.წ. [„სიგნალის“ აქცია](#). აქციის მონაწილეები რეგიონში არსებულ მძიმე სოციალ-ეკონომიკურ პირობებს აპროტესტებდნენ და სახელმწიფოსგან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას ითხოვდნენ. ჩაკეტილი რაიონების მოსახლეობა ვეღარ ყიდდა საქონელს, მაშინ, როდესაც მათ დიდ ნაწილს ბანკიდან სესხები ჰქონდათ გამოტანილი. ჩაკეტილ მუნიციპალიტეტებში სოციალური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, სახელმწიფომ რეპრესიულ პოლიტიკას მიმართა. 2020 წლის 17 აპრილს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოკითხვაზე დაიბარა შეიხი - [მირტაგ ასადოვი](#). გამოკითხვა ე.წ. „სიგნალის“ აქ-



**აითაჯ ხალილი: შორიდან დანახული “,  
ადამიანური ისტორიებით დახატული  
„წითელი ზონა“:**

„არ შემიძლია არ ვიფიქრო 79 წლის მარტო-  
ხელა ქალბატონზე, რომელსაც აქვს ჯანმრ-  
თელობის პრობლემები და ვერ აიღო პენსია,  
არც რაიმე ჰუმანიტარული დახმარება მიუ-  
ღია ბოლო ერთი თვის განმავლობაში“.

„არ შემიძლია, არ ვიდარდო იმ თანამემ-  
ბულეზე, რომელიც თავის 8 სულიან ოჯახ-  
თან ერთად სრულად მოუმზადებელი შეხვდა  
მკაცრ საკარანტინო რეჟიმს და ახლა, რო-  
გორც თვითონ აცხადებს, არ იცის სად დაი-  
მალოს“.

„ასე მშვიერი კვდება ყველა“ – ეს პასუხი გასცა  
ამ ადამიანს სახელმწიფო რწმუნებულმა,  
და ეს პასუხია ლუსტრაცია იმის, როგორ  
ექცევიან ჩვენ ქვეყანაში მოქალაქეს, რად  
უღირთ მისი ღირსება“

წყარო: <https://emc.org.ge/ka/products/karantinis-dghiurebi-aitaj-khalilli>

ციას უკავშირდებოდა, რაშიც შეიხს მონა-  
წილეობა საერთოდ არ მიუღია.

პანდემიამ გამოავლინა ადგილობრივი  
თვითმმართველობის უთანასწორო მოპყ-  
რობა ჰუმანიტარული რესურსების გა-  
დანაწილების კუთხით. სახელმწიფო და  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-  
განოებს უჭირთ იმის გაცნობიერება, თუ  
რამხელა სოციალური უფსკრულია მათსა  
და მოსახლეობას შორის. პრობლემებს  
შორის პრევალირებს ის, რომ სოფლის  
რწმუნებულები კომუნიკაციაში არ არიან  
სოფლის მოსახლეობასთან, რაც თემის  
გაუცხოებას და გარიყვას იწვევს. პანდე-  
მიამ გამოავლინა, რომ ბოლნისისა და  
მარნეულის მოსახლეობას არ ჰქონდა  
შესაძლებლობა, ადგილობრივი ხელი-  
სუფლებისთვის მათ სოციალურ გასაჭი-  
რთან დაკავშირებით ხმა მიეწვდინათ.  
სახელმწიფოს და საზოგადოების უმრავ-  
ლესობას უმცირესობების მიმართ არა  
აქვს სოლიდარობისა და სოციალური  
სამართლიანობის განცდა. სამართლი-  
ანობა მოითხოვს ითქვას რომ სწორედ  
იმავე პერიოდში, განსაკუთრებით სოცი-  
ალურ ქსელებში მრავალი სოლიდარო-

ბის და თანადგომის ხმა ისმოდა, თუმცა  
პრაქტიკულად ყველა ამ კამპანიის უკან  
სამოქალაქო აქტივისტების და არასამთა-  
ვრობო ორგანიზაციების ან ზოგიერთი  
ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წა-  
რმომადგენლები იდგნენ. მაგალითად,  
იყო შემთხვევა როდესაც პოლიტიკურ გა-  
ერთიანება „ლელოს“ ქართული მარშის  
წევრები სწორედ „ზედმეტ“ სოლიდარობა-  
საც კი ედავებოდნენ. თუმცა მიუხედავად  
საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების  
მცდელობისა ჩაკეტილი და იზოლირე-  
ბული მარნეულისა და ბოლნისის მუნიცი-  
პალიტეტების მიმართ სოლიდარობამ მა-  
სობრიობის ხასიათი ვერ შეიძინა.

ერთის მხრივ, საქართველოს კონ-  
სტიტუცია და კანონმდებლობა კანონის  
წინაშე თანასწორობის პრინციპზე სა-  
უბრობს, ხოლო მეორეს მხრივ, პრაქტი-  
კაში, სახელმწიფოს უჭირს ისტორიულად  
ფესვგამდგარი სოციალურ-ეკონომიკური  
გარიყულობის მწვავე შედეგებზე პასუხის-  
მგებლობა აიღოს და ისეთი პოლიტიკა გა-  
ნახორციელოს, რომელიც ქვეყანაში სა-  
მოქალაქო ერის ფორმირების პროცესის  
დასრულებას უზრუნველყოფს.

## ემოლოგია და კვლევის ღივივა

წინამდებარე კვლევაზე მუშაობა სამა-  
გიდე კვლევით დაიწყო. კვლევის ფარგ-  
ლებში, უმცირესობების პრობლემატიკის  
ყველა ასპექტს დეტალურად ვერ შევხე-  
ბით სხვადასხვა ღიმიტების გამო, რო-  
მელთა შორისაა: დროითი ფაქტორი, რე-  
სურსები და კვლევს ფორმატი.

კვლევაში გაანალიზებულია ბოლნისისა  
და მარნეულის ჩაკეტილი პერიოდში, რა-  
სისტული გამოვლინებები აზერბაიჯანული  
თემის მიმართ და სახელმწიფოს რეაგი-  
რების პოლიტიკა. ამასთანავე, შევეცადეთ  
გამოგვეკვლია და ფოკუსირება მოგვე-  
ხდინა თემის მიმართ ქსენოფობიური და  
შოვინისტური განცხადებების გამომწვევ  
სისტემურ მიზეზებზე და ფაქტორებზე.

ქსენოფობიური განწყობების გამომწვევ მიზეზებს შორის დომინირებს ნარატივი - „ჩვენ“ და „სხვები“

- კულტურათა გაუცხოების, ადგილობრივ აზერბაიჯანული კულტურის წაშლის და ქართული კულტურის და ენის დომინაციის ნიშნები;
- ეთნიკური უმცირესობების საფრთხედ აღქმის სტერეოტიპული დამოკიდებულებები;
- სახელმწიფოსა და მედიის გამოწვევები უმცირესობების ინფორმირებასთან დაკავშირებით და თანმდევი შედეგები;
- რელიგიური დომინაცია და არამართლმადიდებლების გარიყვის ტენდენციები და უმცირესობების სოციალური გარიყულობის საკითხები.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში, გაანალიზებულ იქნა წერილობითი მასალები: ანგარიშები, კვლევები, შეფასებები, განცხადებები, საინფორმაციო გამოშვებები, სატელევიზიო ინტერვიუები და სოციალურ მედიაში გაკეთებული კომენტარები.

სამაგიდე კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა, მიგვეღო კვლევისთვის საჭირო ინფორმაცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ინფორმაციის შევსება კი განხორციელდა ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის წევრებთან, ჟურნალისტებთან და უფლებადამცველებთან, ე.წ. საექსპერტო კვლევის ფორმით. სულ ჩავწერეთ 12 ინტერვიუ.

კვლევაში დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად, გამოყენებულ იქნა კვლევის ორი მეთოდი:

- პირველადი წყაროების ანალიზით შევეცადეთ შეგვესწავლა ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის წევრების გამოცდილებები, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად, არიან დომინანტური მხერისა და ეთნიკური დისკრიმინაციის მოწმეები და მსხვერპლები. კვლევაზე მუშა-

ობისას, მათთან გაკეთდა ონლაინ ინტერვიუები.

- პირველადი წყაროების ფარგლებში, ასევე, გავაანალიზეთ ფაშისტური და შოვინისტური შინაარსის შემცველი განცხადებები, რომლებიც გავრცელდა სოციალურ ქსელში და მედიის სხვა საშუალებებში;
- მეორადი წყაროების (შეფასებები, კომენტარები, კვლევები, ანგარიშები, განცხადებები, სატელევიზიო ინტერვიუები) ანალიზით შევეცადეთ წარმოგვეჩინა რასიალიზაციის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები. ასევე, სახელმწიფო პოლიტიკა ამგვარ ფაქტებზე რეაგირებისა და უმცირესობების დაცვის კუთხით.

წინამდებარე კვლევის მიზანია არა შოვინისტური და ქსენოფობიური გამონათქვამების ავტორების ან სახელმწიფო ჩინოვნიკების პერსონალური კრიტიკა, არამედ, პრობლემების იდენტიფიცირება, გამომწვევ მიზეზებზე საუბარი და რელევანტური სახელმწიფო უწყებებისთვის და საზოგადოების წევრებისთვის რეკომენდაციების მიწოდება მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

კანონიერი გამოვლინებები აზერბაიჯანული თემის მიმართ და სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაცია

მარტის მიწურულს კოვიდ-19 დაუდგინდა მარნეულში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეს. რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე დღის განმავლობაში სახელმწიფოს რეკომენდაციებს არ ასრულებდა. ამ გარემოებამ ვირუსის მასობრივი გავრცელების საფრთხის განცდა გააჩინა. შედეგად, ერთი, არაიდენტიფიცირებული წყაროს მიერ ინფიცირებული ქალბატონის გამო, მთლიანად მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები საკარანტინო ზონებად გამოცხადდა. კოვიდის


გავრცელების საწყის ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან მარნეულისა და ბოლნისის, ისევე, როგორც სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიების, მოსახლეობის ინფორმირების პოლიტიკა ხარვეზიანი იყო. უმცირესობების ენებზე კოვიდთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანია ძალიან გვიან, ბოლნისსა და მარნეულში შემთხვევების მატების კვალდაკვალ, დაიწყო. სახელმწიფომ მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობას პრევენციულად ვერ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, ვირუსის და საფრთხის სერიოზულობის შესახებ. ასევე, დაგვიანდა მოსახლეობის პროაქტიული ინფორმირება ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. მარნეულის მაცხოვრებლების შეფასებით, მათ არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია იმაზე, თუ რა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იყო მარნეულში, რა საფრთხეების წინაშე იდგა მოსახლეობა ან როგორი იყო საჭარო ინტერაქციის სავალდებულო პროტოკოლი.

რეალობის გათვალისწინებით და მხოლოდ პრობლემის აღმოჩენის შემდეგ, მთავრობამ განცხადებების გავრცელება უმცირესობების ენებზე დაიწყო, რასაც საზოგადოების ნაწილის განსაკუთრებული აგრესია მოჰყვა. შოვინისტური განცხადებების გავრცელებამ, სოციალურ ქსელებში, საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო და რაც უფრო შემაშფოთებელია, ის ყოველთვის ორგანიზებულ ხასიათს არ ატარებდა. სპონტანურობის მასშტაბურობა, აჩვენებს იმას, რომ ეს არ არის პანდემიით დაწყებული პრობლემა და მას ფესვები მყარად აქვს გადგმული საქართველოში. ხოლო კოვიდ-19-ით გამოწვეული კონტექსტი, რადიკალურმა და ფაშისტურმა ძალებმა უბრალოდ გამოიყენეს საკუთარი პოზიციონირების გასაძლიერებლად და თავის შესახსენებლად.

„პანდემიამ და მარნეული/ბოლნისის მუნიციპალიტეტების ჩაკეტვამ, ჩვენს საზოგადოებაში არსებული ორი უჩინარი საკითხი გააშიშვლა. პირველი, ქვეყნის

შიგნით არსებული უთანასწორობისა და რასიზმის ღრმა და უჩინარი ხაზები. მეორე, ცენტრსა და პერიფერიებს, უმრავლესობასა და უმცირესობას, ელიტებსა და ჩაგრულებს შორის კავშირების ტრივიალური ბუნება,“ - გვითხულობთ ბოლნისელი აქტივისტის ელმადდინ მამედლის ბლოგპოსტში „წერილი უმრავლესობას: რა მოხდა ბოლნისში, სოფელ დელლერში (მუშევანში)“.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული მოქალაქის მიმართ უკმაყოფილება პანდემიის კონტექსტს გაცდა და ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ რასისტულ და ქსენოფობიურ რიტორიკაში გადაიზარდა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ბოლნისში, სოფელ მუშევანში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როდესაც ადგილობრივმა სოფლის მოსახლეობამ ექიმებს კორონავირუსით ინფიცირებულთა კლინიკაში გადაყვანს საშუალება არ მისცა. სოციალურ ქსელებში გვერდიც კი შეიქმნა სახელწოდებით, „იცნობდე ფაშისტს“, სადაც აგრესიული და შეურაცხმყოფელი კომენტარების სქრინები აიტვირთა. სოციალურ ქსელებში აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების



კომენტარები იყო სიძულვილის შემცველი და ხშირ შემთხვევაში იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც. იმატა რასისტული შინაარსის სტატუსებმა. ზოგიერთ ქსენოფობს კი მარნეულთან კედლის აშენების და მისი „მე-13 რაიონად“ გამოცხადების აზრიც გაუჩნდა. „ჩა-

ცხრილეთ, დაწვით, ეგ გაუნათლებლები, ბინძურები, ცეცხლი წაუკიდეთ მარნეულს, მავთულხლართებში გაებმებიან და ისწავლიან ქკუას, ეგ თათრები, დატოვონ საქართველო, ჩაყარონ ყველა ციხეში.“ „კედელი კი არა, რკინის გალია და ჭოხი უნდა მაგათ“ - წერდნენ ფეისბუქში სოფელ [მუშე-ვანში](#) მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ და სასწრაფო დახმარების ექიმებს კორონავირუსით ინფიცირებული ადამიანის გადაყვანისას წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ კომენტარს მალევე გამოეხმაურა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე, რომელმაც დაწერა, რომ „უნდა ჩაკეტო სოფელი და ამოხოცონ“. კიდევ ერთ კომენტარში ზაზა აბაშიძემ მარნეულელებს ვირუსის პოტენციური გამავრცელებლები, მკვლელები უწოდა, აგინა და გაიმეორა, რომ ისინი უნდა გამოკეტონ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების [სამინისტრომ](#) განაცხადა, რომ მართალია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მათი უწყების დაქვემდებარებაშია, მაგრამ, საჭარო ბოდიშის მოხდას ამ ეტაპზე არ აპირებენ. აღსანიშნავია, რომ ზაზა აბაშიძე ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, რომელიც სახელმიფო ბიუჯეტიდან, მოქალაქეთა გადასახადებით ფინანსება. ზაზა აბაშიძე დღემდე რჩება აღნიშნულ თანამდებობაზე.

„წითელ ზონებად“ გამოცხადებულ მუნიციპალიტეტებში იზოლირებულ მოსახლეობას ერთდროულად უწევდა კორონავირუსთან, ეკონომიკური სიდუხჭირის შიშსა და ეთნო-ნაციონალიზმთან ბრძოლა.


უსიამოვნო იყო სოფელ მუშევანის მოსახლეობისა და ექიმებს შორის დაპირისპირებაზე დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის, [ამირან გამყრელიძის განაცხადება](#), რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, [“თითქოს ადგილობრივი მოლა და მუფთი „ცუდ როლს თამაშობენ“ საკარატინო ზონაში”](#). მოგვი-

ანებით, ბატონმა გამყრელიძემ განმარტა, რომ მისი მთავარი გზავნილი იყო მოწოდება, აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფს მათთვის გასაგებ ენაზე მეტად გასაუბრობდნენ და მეტად ჩართულიყვნენ, არა მარტო სამოქალაქო პირები, არამედ რელიგიური ლიდერებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ [ამირან გამყრელიძის განცხადება, რომლითაც იგი სოფელ მუშევანის მოსახლეობასა და ექიმებს შორის კონფლიქტს მუსლიმ სასულიერთ პირებს უკავშირებს, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის მიმართ ისედაც დაძაბულ გარემოში დისკრიმინაციას და ქსენოფობიას ახალისებს](#). უფრო მეტიც, მაღალი თანამდებობის პირების და განსაკურებით კი დროის კონკრეტულ მომენტში ყველაზე პოპულარული და სმენადი საჭარო პირების არასწორი გზავნილები, ეთნიკური შუღლის გაღვივების მაღალ რისკს შეიცავს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანული თემი ისედაც მწვავე სისტემური პრობლემების წინაშე დგას.

ცალკე კვლევას იმსახურებს სიძულვილის ენის გამოყენების სიმრავლე სოციალურ მედიაში. გაჩნდა ქსენოფობიით გაჟღენთილი ვიდეოები, კარიკატურები, კომენტარები, სადაც დომინირებს შემდეგი შინაარსის გზავნილები: [„თათრები სათათრეთში უნდა გავრეკოთ“](#). სოციალურ ქსელში დომინირებდა სტერეოტიპული და დისკრიმინაციული გამონათქვამები, რომ აზერბაიჯანელები არიან ბინძურები, გაუნათლებლები, როლებმაც უნდა დატოვონ საქართველო. სიძულვილის, დამცირებისა და შეურაცხყოფის გამოხატვის ერთერთი უმთავრეს ნარატივად კი კვლავაც აზერბაიჯანული თემის „თათრებად“ მოხსენიება რჩება.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კომენტარების, რასაც აზერბაიჯანელების მიმართ სოციალურ ქსელში წერდნენ და პასუხისმგებლობას მოითხოვდნენ არა კონკრეტული პირისგან, ვირუსის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ არა ვირუსის მატარებელ კონკრეტულ ადამიანს, არამედ მთლიანად აზერბაიჯანულ თემს. მარნე-



ულში ვირუსით ინფიცირების პირველ შემთხვევას უბრალოდ თემის შეურაცხყოფა კი არ მოჰყვა, არამედ აგრესიული, რასიალიზაციისკენ მიმართული ეთნო-ცენტრისტული და ეთნო-რელიგიური გამოვლინებები. ფაქტიურად, რამდენიმე უპასუხისმგებლო ადამიანის ქცევა, მთელს აზერბაიჯანულ თემზე განზოგადდა. დომინანტი ეთნოსის ზოგიერთი წარმომადგენელი, ვირუსის გავრცელებას, აზერბაიჯანული თემის კულტურისა და სოციალური ყოფის თავისებურებებითაც ხსნიდა. ამგვარ მიდგომას კი, რამდენიმე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ. ერთის მხრივ, იკვეთებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების მარგინალიზების მცდელობა. იმავდროულად შეიძლება ითქვას, რომ ეს კონკრეტული რეალობა, ერთგვარი დეტონატორი აღმოჩნდა, წლების განმავლობაში დაგროვილი და დახუფული, ემოციების ამოხეთქვისათვის; უფრო ზოგადად კი, სავარაუდოდ მოდის იმ შიშისაგან, რომელიც ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ნაწილში ბუდობს და უკავშირდება აზერბაიჯანელების დემოგრაფიულ აქტიურობას.

ქსენოფობიურმა და რასიალიზაციისკენ მიმართულმა კომენტარებმა, ეთნიკურ უმცირესობებში, სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ქსენოფობიურმა განცხადებებმა მთლიანად აზერბაიჯანულ თემზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე უარყოფითად იმოქმედა. მათ შორის ერთგვარი იმედგაცრუება და განცდა, რომ ისინი არ

არიან საქართველოს ნაწილი და არიან „სხვები“, რომლებმაც უნდა დატოვონ ქვეყანა, დომინირებდა.



აზერბაიჯანულ თემის მიმართ ქსენოფობიური განცხადებებით გამოწვეულ ტკივილის სიმძაფრეს კარგად აღწერს ერთ-ერთი აზერბაიჯანელი მასწავლებელი რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში რასისტულ გამოვლინებებთან დაკავშირებით განმარტავს: „ერთი სინშინდე არ დატოვებს. შეუგინებელი ადგილი არ დატოვებს. როგორ უნდა გაუძლოს ამას გულმა. მოვა ზაფხული. დამწიფდება ისევ პამიდორი, დამწიფდება ის თაობებიც, რომლებიც ერთმანეთს მიიღებს ყველანაირი განსახვავების გარეშე. გაივლის კორონაც, მაგრამ ლამის ორი მესამედის მხრიდან სიძულვილით მიყენებული ქრისტის დავიწყება ძნელი იქნება.“

ქსენოფობიური განცხადებების ანალიზიდან იკვეთება, რომ დომინანტურ თემს აბსოლუტური გაუცხოება აქვს უმცირესობს თემებთან. ვერც საზოგადოების დიდი ნაწილი და ვერ სახელმწიფო ვერ ხედავს იმ სტრუქტურულ და სისტემურ უსამართლობას, რომელიც უმცირესობის თემის მიმართ სიძულვილში ვლინდება.

აზერბაიჯანული სათემო ორგანიზაცია „სალამის“ ერთ-ერთმა აქტივისტმა, [ქაბრან მამედლიმ](#), განაცხადა, რომ დადი-ოდნენ უნივერსიტეტებში, მეგობრობდნენ დომინანტი ეთნიკური ჯგუფის წევრებთანაც. ასეთი კოლექტიურობა სიძულვილში არ ჰქონდათ თემის წევრ ახალგაზრდებს დანახული; ასე არ ჰქონდათ აღქმული, თუ როგორ უყურებდა მათ საზოგადოების დიდი ნაწილი.

სიძულვილის ტალღა იმდენად მტკივნეული და რთულად გადასატანი აღმოჩნდა, მით უფრო კორონავირუსის გამო, ისედაც გამძაფრებული შიშის და ჩაკეტილი ზონის პირობებში, რომ აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა წამოიწყეს [ფეისბუქ გამომწვევა](#) ქართულ ენაზე. სადაც ისინი მხარდაჭერას ითხოვდნენ და ყველას მოუწოდებდნენ სიძულვილისგან, ქსენოფობიური განწყობების გამოვლენის თავშეკავებისკენ. მხარდამჭერი კამპანიის ფარგლებში, აქტივისტები აცხადებდნენ, რომ ისინი [ემიჯნებიან რასიზმს, ქსენოფობიას და ირჩევენ თანასწორობას](#) ყველა მოქალაქის მიმართ. იმედისმომცემი იყო ის ფაქტი, რომ თავიდან აზერბაიჯანული თემის წევრები ერთმანეთში აზიარებდნენ სოლიდარობის განცხადებებს ქართულად, ხოლო შემდეგ ეს პოსტები ეთნიკურმა ქართველებმაც აიტაცეს და მათაც დაიწყეს სოლიდარობისა და თანადგომის გამოხატვა.

აზერბაიჯანული თემის სამართლიან პროტესტს სამოქალაქო სექტორმაც მხარი დაუჭირა. მან აზერბაიჯანული თემის მიმართ ქსენოფობიური და სიძულვილით მოტივირებული შეტევის დროს მაღალი სოლიდარობის გრძნობა გამოავლინა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა

დაგმეს რასიალიზაციისკენ მიმართული განცხადებები და სახელმწიფოს ადეკვატური სამართლებრივი რეაგირებისა და თანასწორობის პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდეს.

აზერბაიჯანული თემის მიმართ რასისტული თავდასხმები დაგმო საქართველოს [სახალხო დამცველმაც](#), რომლის შეფასებითაც „პრობლემის განხილვა ეთნიკურ ქრილში ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსების დაცვის უზენაეს პრინციპს, აძლიერებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებულ სტიგმებს, აღვივებს დეზინტეგრაციულ პროცესს და მათ სოციალურ გარიყვას ახალისებს.“

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისევე, როგორც სხვა ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადებების დროს, აზერბაიჯანული თემის მიმართ რასისტულ განცხადებებზე სათანადო და დროული რეაგირება ამჯერადაც ვერ მოახერხეს. არც შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ჰქონიათ ხშირ შემთხვევაში, ეთნიკური შუღლის და ძალადობის გამღვივებელ სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველ განცხადებებზე. შოვინისტური ტალღა არ გამხდარა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან საგანგებო კომუნიკაციის საგანი. საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს კომენტარი საერთოდ არ გაუკეთებიათ.

ხელისუფლებამ ვერც მარნეულის მოვლენების დროს გაიაზრა, რომ [სწორედ ასეთ დროს მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაციის ყველა ინსტრუმენტის გააქტიურება უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების მოგვარებისა და ერთიან ქართულ სახელმწიფოში უმცირესობების რეალური ინკლუზიისთვის](#). სახელმწიფომ ვერ გაანალიზა რომ სწორედ ამგვარი კრიზისის დროს, ხელისუფლებამ მყარი და ერთმნიშვნელოვანი პოზიციონირებით უნდა აჩვენოს ერთიანი სამოქალაქო ერის სახელმწიფო პოლიტიკა. აკი აცხადებდნენ კიდევ სამოქალაქო აქტი-

ვისტები აზერბაიჯანული თემიდან, „ჩვენ იმდროს გვყავს მთავრობა დაქირავებული, რომ სწორედ ასეთ მავნე გამოვლინებებს ებრძოლოს.“ მათ იცინან, რომ მთავრობა თბილისში მათი დაქირავებულია, ზუსტად ისე როგორც თელაველების, თბილისელების ან ბათუმელების. ზუსტად ამგვარი მიდგომა, კრიზისის დღეებში, ერთმნიშვნელოვნად უნდა ეჩვენებინა თბილისს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მარნეულის მერი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრი გამოეხმაურნენ აზერბაიჯანული თემის მიმართ ქსენოფობიურ გამოვლინებებს.

საკუთარ განცხადებებში მარნეულის მერი, ძირითადად თავს იმართლებდა „ჩვენ, ყველა ვართ ტრადიციების მიმდევარი ხალხი და რიტუალები, როგორცაა ქორწილები, დაკრძალვა და ა. შ ერთნაირი გვაქვს, რომელიც მყარადაა ჩვენში გამჭდარი, ამიტომ მარნეულშიც და საქართველოს დარანჩენ მუნიციპალიტეტებშიც, რთულია მოქალაქეები, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვირუსის გავრცელების გამო დადგენილ საგანგებო რეჟიმს მყისიერად დაექვემდებარონ“, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრმა გვითხრეს, რომ ყველა თანასწორია და ერთნიკური ნიშნით გამორჩევა არასწორია. ნამდვილად პოზიტიური იყო მათი განცხადებები, თუმცა პრობლემა, რომელიც ამ განცხადებებშიც ნათლად ჩანს, სწორედ სამოქალაქო ერის არსებობის თაობაზე, სტრატეგიული ნარატივის და შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობაა.

სახელმწიფოს უჭირს იმის გააზრება, რომ როდესაც საჯარო თანამდებობის პირი ხდება სიძულვილის მოტივატორი და წამხალისებელი, ეს სახელმწიფოს გამოწვევას წარმოადგენს. ამ დროს, სახელმწიფოს ევალება იყოს სოლიდარული ჩაგრული ჯგუფის მიმართ და წარმოადგი-

ნოს მკაფიო გზავნილები რასიალიზაციისკენ მიმართული ტალღის წინააღმდეგ, ჰქონდეთ ადეკვატური რეაგირება ყველა ასეთ ქსენოფობიურ გამოვლინებაზე გაუღებული არა წუხილისა და შეშფოთების კონტექსტით, არამედ ერთიანი, მწყობრი სახელმწიფო პოლიტიკით.

## ქსენოფობიური და რასისტული გამოვლინებების გამომწვევი მიზეზები

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა, თანასწორობის და ინკლუზიის პრინციპების ნაცვლად, დიდწილად ისეთ პრობლემურ ნარატივებს ეფუძნება, როგორცაა უსაფრთხოება, ენობრივ-კულტურული დომინაცია და სოციალური გარიყულობა. სახელმწიფო სათანადოდ ვერ იაზრებს იმ ღრმა და ყოვლისმომცველ უთანასწორობას, რომელიც არადომინანტური ჯგუფების მიმართ არსებობს ისტორიული უგულვებელყოფის და დომინანტური მხერის გამო.

კოვიდის დროს რასისტული გამოვლინებების ტალღა სტრუქტურულ პრობლემებსა და უთანასწორობას მალავს, რაც საქართველოს დიდ გამოწვევად რჩება. საბედნიეროდ, ბოლო წლებში, აზერბაიჯანულ თემში, სამოქალაქო გამოღვიძებისა და აქტივიზმის პროცესები დაწყებულია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობისა და იდენტობის გააზრების თვალსაზრისით. აზერბაიჯანული თემი, სულ უფრო აქტიურად და კრიტიკულად იწყებს გააზრებას და საუბარს თემის პრობლემებზე, დისტანცირებასა და ინკლუზიის ქმედითი პოლიტიკის საჭიროებაზე. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი საქართველოს არცერთი ხელისუფლება არ აღმოჩნდა შემძლე ამ პროცესის ავანგარდში ყოფილიყო, ბუნებრივია არსებობს განსხვავები სხვადასხვა მმართველობის დროს განხორციელებულ პოლიტიკაში, თუმცა რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკა, რომელიც გარღვევის მასშტაბის იქნებოდა არ ყოფილა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი აქტივისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქსენოფობია და აგრესია ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ ყოველთვის არსებობდა. თუმცა, კოვიდი გახდა კატალიზატორი, რომელმაც დააჩქარა და ზედაპირზე გამოიტანა თემის მიმართ სიძულვილით მოტივირებული განწყობები. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ადგილობრივი აზერბაიჯანელი აქტივისტის შეფასებით „ეს პრობლემა არის გვამი, რომლის დამარხვასაც ცდილობენ, თუმცა, პანდემიის მდგომარეობამ გაართულა დამალვის შესაძლებლობა და გვამი ზედაპირზე ამოტივტივდა.“<sup>1</sup> აზერბაიჯანული თემის ცნობილი აქტივისტი, [ქამრან მამედლი](#), განმარტავს, რომ რასიალიზაციისკენ მიმართული მესიჯები, რაც ბოლო პერიოდში დომინანტური ეთნიკური ჯგუფიდან ისმის ყოველთვის არსებობდა, უბრალოდ, ჯგუფებს შორის კომუნიკაცია იშვიათი იყო და ეთნიკურ უმცირესობებს ამის შესახებ შედარებით იშვიათად ესმოდათ.

უმცირესობების მიმართ ქსენოფობიური განწყობების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ დღემდე ვერ გაიაზრა და ვერ განსაზღვრა, რას ნიშნავს ქართული სახელმწიფო, ქართველი ხალხი და ვინ იგულისხმება მათში. მიუხედავად თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციისა, ყოველდღიური რიტორიკა, დომინანტური კულტურა და არსებული დისკრიმინაციული სისტემა, ერთად ქმნიან იმ ვირტუალურ საზოგადოებას, რომელიც კვლავაც მხოლოდ ვიწრო ეთნიკურ ქრილში განიხილავს მოქალაქე - ქართველს. ამგვარი დომინანტური საზოგადოება, ყველა ეთნიკურად არაქართველის გარიყვას და მარგინალიზებას ახდენს და ნებისთ, თუ უნებლიედ, ეთნიკურად ქართველებში, ეთნონაციონალიზმისა და ვიწრო შოვინისტური განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს.

რეალური თანასწორობა ინკლუზიური სახელმწიფოს მშენებლობაში გამოიხატება, როდესაც შემდგარი და ფუნქციონალურია სამოქალაქო ერი, იმის მიუხედავად, ვინ რომელი ეთნოსის ან რელიგიის წარმომადგენელია. სხვა შემთხვევაში, საქმე გვაქვს ვიწროეთნიკურ თანსწორობასთან, როდესაც ყველანაირი პრობლემების და უბედურების მიზეზებს წარმოადგენენ არაქართველები, არამართლმადიდებლები ანუ იგივე „უცხოები“.

მხოლოდ კონსტიტუციით განმტკიცებული კანონის წინაშე თანასწორობა, რომელიც საზოგადოებრივ კონსენსუსს არ ეფუძნება, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარიყულობასა და გაუცხოებას, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დონეებზეც ჩანს სრულად ვერ/არ ხედავს და ვერ ათანასწორებს. სოლიდარობას ეთნორელიგიური ნაციონალიზმი უშლის ხელს, რომელიც მოქალაქეებს ვიწრო ეთნო-რელიგიურ ქრილში განიხილავს.

## ლომინანჯუჩი ნაკაჯივი - „ჩვენ“ და „სხვები“

კოვიდის დროს გამოვლენილმა ქსენოფობიურმა განწყობებმა დაგვანახა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების სულ უფრო მზარდი რაოდენობა ფლობს ქართულ ენას, ჩართული არიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საზოგადოების და პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილისთვის ისინი მაინც „სხვებად“ აღიქმებიან. ზოგადად, ქართულ მართლმადიდებლურ და ეთნო-რელიგიურ საზოგადოებაში არსებობს ტენდენცია, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელს უყურო „ზემოდან“, სწორედ ამის დასტურია სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადებების პათოსიც.

ასევე, ყურადსაღებია „ჩვენ და სხვები“, ნარატივი „წავიდნენ იქ, სადაც თავიანთი

<sup>1</sup> იგულისხმება თემის მიმართ საზოგადოებაში არსებული სიძულვილი და რასისტული განწყობები.



ადგილია“. რაც შეიცავს ღია ტექსტს, რომ უმცირესობების ნამდვილი სამშობლო, სადაც „სხვაგანა“ და შესაბამისად ისინი ჩვენნიანები არ არიან. ამგვარი მიდგომა კი ქართველი აზერბაიჯანელების სახელმწიფოსგან გარიყვას, მათ მარგინალიზაციას უწყობს ხელს.

რასისტული განცხადებების მთავარი არსიც ხომ ის არის, რომ ქვეყნის არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეები სახელმწიფოში დროებით მცხოვრებლებად, მეორეხარისხოვან მოქალაქეებად წარმოაჩინონ, რომლებიც უნდა წავიდნენ „თავიანთ“ ქვეყანაში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას მიერ, ეროვნული მოძრობის დროს სახალხო ფრონტის ყრილობაზე განცხადებული თემის პათოსი და სულისკვეთება ისევ ცოცხალია და მას ყოველდღიურად კვებავენ ჩვენში ასე მოძღვარებული ულტრა რადიკალური, ნაციონალისტური ძალები.

”**მეგობრებო, საქართველო არის ქართველების ქვეყანა, ეს აქსიომა უნდა იყოს წარმოდგენილი და არეკლილი ამ პროგრამაში, კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და, ამავე დროს, ყველა პიროვნების ინტერესებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის და არა სხვა ერების ინტერესებს, ჩვენ აქ აზერბაიჯანის ინტერესებისთვის არ ვიბრძვით, მეგობრებო, და თუ ვინმე იბრძვის, ის დამარცხდება ...**“

[ზვიად გამსახურდია, სახალხო ფრონტის ყრილობა](#)

ამგვარი დომინაცია, უთანასწორო პოლიტიკა და მოსაზრებები მუდმივად ახსენებენ აზერბაიჯანულ თემს, რომ სადაც ისინი ცხოვრობენ ქართული მიწა-წყალია

და მათი ადგილი იქ არ არის, რომ არსებობს ტიტულოვანი ეთნოსი და დანარჩენი ყველა არის „სხვა“. როგორც ერთერთი ადგილობრივი აზერბაიჯანელი აქტივისტი განმარტავს, საქართველოში არის სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომ თითქოს, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები არიან ან აზერბაიჯანის, ან თურქეთის რესპუბლიკის მეხუთე კოლონა.

„საქართველო მხოლოდ ეთნიკური ქართველებისთვის“ შეფარულ სახელმწიფო პოლიტიკას ისიც ხდის ფარდას, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბევრ აზერბაიჯანულ სოფელს (მაგალითად, ტალავერი, ჭაპალა, მამხუტი), სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, სახელი შეუცვალეს და ამის მიზეზად ძველი ქართული სახელების დაბრუნება დაასახელეს. სინამდვილეში, ამ პოლიტიკის გზავნილი არის ის, რომ საქართველოს ტერიტორია მხოლოდ ეთნიკური ქართველების საკუთრებაა და ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის ადგილი იქ არ არის. საქართველოში სხვა ეთნოსის ადამიანები არ ითვლებიან სრულყოფილ მოქალაქეებად. ამგვარ შოვინისტურ მიდგომას თავისი მიზეზები გააჩნია. ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ენა, რელიგია, კულტურული ღირებულებების სხვაობა და ეთნოსებს შორის შეხების წერტილების ნაკლებობა იწვევს ამ გაუცხოებას და დისკრიმინაციულ გამოვლინებებს.

დომინანტური ეთნოსის მხრიდან ქსენოფობიური დამოკიდებულება უმცირესობის თემში დიდ წყენას და იმედგაცრუებას იწვევს. ადგილობრივი აზერბაიჯანელი აქტივისტის, ქამრან მამედლი გამოცემა „ნეტგაზეთთან“ [ინტერვიუში](#) ყვება, რომ „წარმოიდგინეთ, იბადები ქვეყანაში, ცხოვრობ, ფიქრობ, რომ შენი სამშობლოა, ასე ვთქვათ დიდი ოჯახი, ეს ქვეყანა ჩემია და მე ვარ ამ ქვეყნის ნაწილი, მაგრამ თურმე ძალიან ბევრი ადამიანი ასე არ გვიყურებს“; სამწუხაროდ, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს დღემდე უწევთ იმის მტკიცება და თავის მა-

რთლება, რომ ისინი ამ ქვეყანაში სტუმრად არ არიან, საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან, რომელთაც ისევე ძლიერად უყვართ საქართველო, როგორც ეთნიკურად ქართველებს. აზრებიანჯანული თემი არ ეძებს სამშობლოს არსებული პოლიტიკური სივრცის გარეთ. ისინი თავიანთ წარსულსაც და დღევანდელობასაც საქართველოს ფარგლებში ხედავენ.

**მარნეულში მცხოვრები  
აზერბაიჯანელი ახალგაზრდა:**

„ცოტა ხნის წინ, ბაქოში ვიყავი და აქ რომ დაგვბრუნდი, წითელი ხიდი რომ გავიარე, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. საქართველოში დავიბადე, ჩემი მშობლებიც აქ დაიბადნენ, ამიტომ ეს ადგილია ჩემი სამშობლო“.

**წყარო:** <https://emc.org.ge/ka/products/identobis-problematika-kvemo-kartlis-azerbaijanelebshi-damisi-politikuri-da-sotsialuri-ganzomilebebi>

აზერბაიჯანული თემის კიდევ ერთი აქტივისტი აღნიშნავს, რომ მათი თემის წარმომადგენლებს ხშირად უსვამენ კითხვას: „არ ფიქრობ აზერბაიჯანში დაბრუნებაზე?“. თუმცა, ამგვარი გაუცხოების პირობებში, დომინანტ თემს წარმოდგენა არ აქვს, რომ აზერბაიჯანული თემის დიდი ნაწილის წინაპრებისთვის, ზუსტად ისევე როგორც მათი წინაპრებისთვის, ერთადერთი სამშობლო საქართველოა.

ადგილობრივი თემის აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ასოცირების სახელმწიფო პოლიტიკას, ხაზს უსვამს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ თემის მიმართ სტერეოტიპებით გაჭერებული დისკრიმინაციული განმანათქვამები. 2019 წლის 26 თებერვალს, პარლამენტის წევრმა, მარიამ ჯაშია, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მდგომარეობაზე საჯარო განცხადება გააკეთა და მიუთითა, რომ „აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების უფლებები საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებებს უნდა გაუთანაბრდეს, როგორც განათლე-

ბის, ასევე, სხვა სერვისებზე“. მარიამ ჯაშის განცხადებიდან ასევე, იკვეთება, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანული თემი მადლობელი უნდა იყოს, რომ ისინი ისე არ იზაგრებიან, როგორც ეთნიკური ქართველები (ინგილოები) აზერბაიჯანში. მარიამ ჯაშის როტორიკა კი არაფრით განსხვავდება, სხვა ქსენოფობი ადამიანებისგან, გარდა იმისა, რომ მას უკეთესი განათლება აქვს და უფრო დახვეწილად გადმოსცემს იმავე შინაარსის სათქმელს. მისი ეს განცხადება ფეისბუქ პოსტებში ასე გადაითარგმნა: „დატოვონ საქართველო, დიდი ხანია პრობლემის მეტს არაფერს უკეთებენ ქვეყანას!“, „არ შეიძლება აზერბაიჯანის მთავრობას მივმართოთ და წაიყვანონ ეს ხალხი აქედან? ან აუხსნან და შეირგონ, რომ უკლიან!“ და სხვა.

ჯერ კიდევ 2018 წელს, საქართველოს პრემიერი კვირიკაშვილი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმით, რომ „საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეები არ კარგავენ კავშირს აზერბაიჯანთან, მათ „ისტორიულ სამშობლოსთან“. ამ განცხადებებიდან ჩანს, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები სათანადოდ ვერ იაზრებენ ერთიანი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბების, საქართველოს, როგორც ყველა აქ მცხოვრები ადამიანის ერთიანი სამშობლოს იდეას, და საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით დაყოფას ახდენენ. ფაქტიურად, საქართველოს სახელმწიფო ადგილობრივ აზერბაიჯანულ თემს აზერბაიჯანის პრიზმიდან უყურებს და მის გავლენის სფეროდ განიხილავს, რაც ადგილობრივ თემში გაუცხოებას და სამართლიან პროტესტს იწვევს.

ბოლო 30 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ ვერ აუხსნა საზოგადოებას, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქართველ მოქალაქეებს არ აქვთ არანაირი კავშირი აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან. მათი ისტორიული სამშობლო არასოდეს არ ყოფილა აზერბაიჯანი და არც თავს მიაკუთვნებენ აზერბაიჯანის სახელმწიფოს.

უმცირესობების თემის მიმართ სახელმწიფოს სისტემური და თანასწორობის

ხედვაზე დაფუძნებული ხედვის არარსებობა იმაშიც ვლინდება, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანულ თემს კომპანია „სოკარი“, აზერბაიჯანის და თურქეთის საელჩოები უფრო მფარველობენ, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფოს უმცირესობების თემის მიმართ გრძელვადიანი მხარდაჭერის პოლიტიკა არ გააჩნია, რაც ალვივებს განცდას, რომ საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები, თავიანთ მიწაზე „სტუმრებად“ აღიქმებიან.

აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ადგილობრივი თემის ასოცირების ნათელ მაგალითს წარმოადგენს კოვიდის დროს გაჩენილი აგრესიული ნარატივი - „გავიძინე და დავით გარეჯთან დადგინე“.

#### **ზაურ ხალილოვი (კვლევის რესპოდენტი)**

„გარეჯის თემამ დალაღა ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემი, რადგან ჩვენ ამ საკითხზე პასუხი არ მოგვეთხოვება, მე არ მესმის, საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ აზერბაიჯანელს, რატომ მთხოვენ ამ საკითხზე პასუხს“.

ამგვარი შოვინისტური გამონათქვამები ცხადად აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოება არადომინანტურ ჯგუფებს მეზობელი სახელმწიფოს გავლით უყურებს. თავისთავად - „დავით გარეჯთან დადგინე“ მიანიშნებს, რომ სადავო სასაზღვრო ტერიტორიისთვის ბრძოლაში მათ კეთილი უნდა ინებონ და საქართველოს უნდა დაუდგინენ გვერდით. ქსენოფობიურ განწყობებში იკვეთება ნარატივი, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ადამიანები უნდა გაჩუმდნენ, რადგან დავით გარეჯის პრობლემასთან დაკავშირებით ისინი ხმას არ იღებენ.

უმცირესობების თემებზე მომუშავე აქტივისტები აღნიშნავენ, რომ „მთავარი პრობლემა ალბათ განათლების სისტემაში უნდა ვეძებოთ, რადგან იგივე სახელმძღვანელოებში ეთნიკური მრავალფეროვნების თემა არის მიჩქმალული ან წა-

#### **ადგილობრივი აქტივისტი აითაჯ ხალილი (კვლევის რესპოდენტი):**

„მე პატარა ვიყავი, როცა გავიგე იმის შესახებ, რომ საქართველო მხოლოდ ქართველების ქვეყანაა. მაშინ მივხვდი, რომ მე არ ვიყავი ქართველი. ამან ჩემში გამოიწვია გაუცხოვება, არსებობენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ჩემი ისტორიული სამშობლო აზერბაიჯანია, თუმცა, რეალურად, ასე არაა. როცა ჩვენი უფლებების გამო მოვდივართ ღიად გვეუბნებიან, რომ თურმე უნდა წავიდეთ ამ ქვეყნიდან. ასევე ხშირად პარალელს ავლებენ აზერბაიჯანში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე, მაშინ, როცა ჩვენ ვიწყებთ ღია საუბარს ჩვენს პრობლემებზე. პარალელის გავლება ძალიან დიდი უსამართლობაა“.

რმოჩენილია დამაკნინებელი ფორმით. წარმოჩენილია ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებები, საქართველოს ისტორია გააზრებულია მონორელიგიურ და ეთნოცენტრისტულ კონტექსტში, როცა მართლმადიდებელია ამ ქვეყანაში პრივილეგირებული მოქალაქე და მასპინძელი, სხვა დანარჩენი კი სტუმარი, ჩამოსული“.

ეთნიკური უმცირესობების ხმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკუსიებში, თითქმის საერთოდ არ ისმის, რაც არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების საზოგადოებისგან გარიყვას და იზოლაციას იწვევს. თუ ეთნიკურმა უმცირესობებმა პრობლემებზე ხმა აიმაღლეს, მაშინვე ჩნდება სიძულვილის ენა და რასიალიზაციისკენ მიმართული განცხადებები, მათი სტუმრის სტატუსის თაობაზე.

აზერბაიჯანული თემის საქართველოსთან გაუცხოებას ისიც იწვევს, რომ **მათ უჭირთ საკუთარი თავის აღქმა საქართველოს საერთო ისტორიაში**. ისინი საკუთარ თავს და იდენტობას საქართველოს საერთო ისტორიაში ვერ პოულობენ, რაც თემის მიერ მეორეხარისხოვან და არასასურველ მოქალაქეებად აღქმას უწყობს ხელს. როგორც უმცირესობის თემთან მომუშავე აქტივისტები განმარტავენ, „მოსწავლეები საკუთარ თავზე, როგორც აზერბა-

იჯანსაღებზე საქართველოს ისტორიიდან ან სკოლის სახელმძღვანელოდან კი არ სწავლობენ, არამედ, ინტერნეტიდან ან აზერბაიჯანის ისტორიიდან“; მათ საკუთარი თავი წარმოუდგენიათ, როგორც საკუთარი ქვეყნისთვის უცხო და საიდანაძე მოსული“. ამგვარი გაუცხოების პოლიტიკა, ახალგაზრდებს ხელს უშლით საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში.

უმცირესობების თემის გაუცხოების მთავარი და გლობალური მიზეზი ის არის, რომ საქართველოს, სამშობლოს აღქმა და დეფინიცია ვიწრო ეთნორელიგიური და ეთნიკური განმარტებით შემოიფარგლება, რომელიც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების იზოლაციასა და მარგინალიზაციას უწყობს ხელს. საქართველოში ხარობს ეთნო - რელიგიური ნაციონალიზმი. მაგალითად, საზოგადოებაში და დომინანტურ რელიგიაში არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომ თუ მუსლიმი ხარ, ესეიგი ხარ თათარი, ანუ არ ხარ ქართველი. სხვათაშორის ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწილად აჭარასა და გურიაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების მიმართაც ვრცელდება.

**ს**აქართველომ ჯერჯერობით ვერ შეძლო სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპის დამკვიდრება, რომლის თანახმადაც, მთავარია, ქვეყნის მოქალაქეობა და არა ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება. დღეს სახელმწიფოს და საზოგადოებას თანასწორობის არასწორი გაგება გააჩნია. ვიწროეთნიკური თანასწორობა ან თუნდაც, უმცირესობების უფლებების კონსტიტუციური დაცვა, არ არის თანასწორობა, თანასწორობა ინკლუზიური და მულტიკულტურული სახელმწიფოს მშენებლობაა.

## კულტურული გაუცხოების, ადგილობრივი კულტურის წაშლის და ქართული კულტურის დომინანტობის ნიშნები

ქსენოფობიური და რასისტული განწყობების გამომწვევ ერთ-ერთ ღრმა მიზეზს დომინანტური და არადომინანტური კულტურების სრული გაუცხოება წარმოადგენს. ხშირად გაისმის სტერეოტიპული შეფასებები, რომ აზერბაიჯანული თემი ნაკლებად განვითარებული, გაუნათლებელი, ჩამორჩენილი, არაცივილიზებულია, რომელთაც საკუთარი კულტურა არ გააჩნიათ. ამგვარი სტერეოტიპები მყარად არის გამჭდარი საზოგადოების დიდ ნაწილში, რომელიც თემს ხედავს „ჩამორჩენილის“ პრიზმიდან. სამოქალაქო სექტორის გარკვეული ნაწილის და მედიის მიერ თემის წარმოჩენა ხდება უარყოფით კონტექსტში, ძირითადად, ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობის თუ ნარკოდანაშაულის კუთხით.

ამგვარი ნარატივის მიზეზი ისიც არის, რომ ქართველებს და აზერბაიჯანელებს შორის კულტურული ურთიერთობები მცირეა, რაც ერთმანეთის კულტურების შესახებ ცოდნის ნაკლებობაში გამოიხატება.

### აზერბაიჯანული თემის აქტივისტი ელნურ ალისო:

„მაგალითად, რომ ვკითხოთ, რა იციან ეთნიკურმა უმრავლესობამ ჩვენი აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობების შესახებ, რა იცის კახეთში კახელმა, სამეგრელოში მეგრელებმა, ჩემი თემის შესახებ, იქნება ერთი და იგივე ფრაზები: ნაადრევი ქორქინება, ქართული არ იციან, ფონიჭალაში ნარკორეალიზაციაა, წითელი ბაფთები და გასათხოვარი გოგოებთან მისი დაკავშირება და სხვა. აი ესეთი სტერეოტიპული და ნეგატიური ინფორმაცია ტრიალებს სულ ქართულ მედიასივრცეში უმცირესობებზე. აღნიშნული გაუცხოება ქსენოფობიურ გამოვლინებებს იწვევს.“

წყარო: <https://www.facebook.com/EMCRIGHTS/videos/293613875286423>

არადომინანტური კულტურისათვის არ არსებობს სივრცე, რომელიც საერთო კულტურაში მათ ინკლუზიას მოახდენდა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი აქტივისტი, ელნურ ალისოი, განმარტავს, რომ „დღეს საქართველოში არ არის ისეთი შესაძლებლობა, სადაც ეთნოსები ერთმანეთს გაიცნობენ და ერთმანეთის კულტურას, ტრადიციებს, ქცევის წესებს კარგად გაეცნობიან“. კვლევის რესპოდენტის, აზერბაიჯანელი აქტივისტის - აითაჯ ხალილის შეფასებით „დომინანტურმა და არადომინანტურმა ეთნოსებმა ერთმანეთის ღირებულებები არ იციან და შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია ერთმანეთის წახილების შესახებ.“

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის კიდევ ერთი პრობლემური ნაკლოვანება ისიც არის, რომ უმცირესობების ინტეგრაციას ცალმხრივად უდგება, რაც მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ უმცირესობებმა ქართულ წესებთან, ენასთან უნდა შეძლონ დაახლოება. სახელმწიფოს და საზოგადოებას უჭირს იმის გააზრება, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია და თავად ქართველებიც უნდა გაეცნონ არადომინანტურ კულტურას, რეალური ინკლუზიის მისაღწევად.

არც სახელმწიფო და არც ადგილობრივი ხელისუფლება არაფერს აკეთებს დომინანტურ და არადომინანტურ კულტურათა დაახლოებისა და არადომინანტური კულტურის წარმოჩენის მიმართულებით. საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარსულის და კულტურის მონოეთნიკური და მონორელიგიური აღქმა წარმოადგენს, რაც საზოგადოების თვითდენტიფიკაციას და თვითგამორკვევას ეთნონაციონალიზმის პრიზმიდან ახდენს. მკვლევარები განმარტავენ, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში უმცირესობები ძირითადად ეთნოგრაფიული ნიშნით არიან წარმოდგენილნი და მათი პოლიტიკური ინტეგრაცია არ ჩანს. კულტურათა შორის გაუცხოებას და უმცირესობების მარგინალიზებას ასევე, დომინანტური ისტორიიდან და კოლექტიური მეხსიერებიდან

თემის განდევნა იწვევს. მკვლევარები, ადგილობრივი აქტივისტები საუბრობენ ქვემო ქართლის რეგიონში კულტურული დომინაციისა და ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნებზე. კულტურული დომინაციისა და უმცირესობების კულტურის გაქრობის ნიშნებზე მიუთითებს სახელმწიფოს დამოკიდებულება მუსლიმების დღესასწაულის ელათის მიმართ, რომელიც სახელმწიფოს მიერ საფთხედ იქნა მიჩნეული და გაუქმდა. მისი ორგანიზება კი ახალი სახელმწიფოებთან - „დმანისობა“ დმანისის მუნიციპალიტეტს დაევალა.

არადომინანტური კულტურის წაშლის მცდელობები სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება, რაც თემის მიერ ძალიან მტკივნეულად აღიქმება. ეთნიკურ უმცი-

#### ცნობილი აზერბაიჯანელები

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და შემდგომში ამიერკავკასიის დაპყრობამ, ასევე მეფისნაცვლის თბილისში დაფუძნებამ, ეს ქალაქი ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად აქცია. კავკასიელი ერების ინტელიგენცია, მათ შორის ან უკვე ბაქოსა და ელიზავეტპოლის (იგივე განჯის) გუბერნიებიდან აზერბაიჯანელი მოაზროვნეებიც აქვე გამოეშურნენ. მათგან ყველაზე ცნობილი ეს სამეულია: **მირზა შაფი ვაზეჰი** - პოეტი და განმანათლებელი, რომელმაც თბილისში გახსნა სალონი, სადაც საუბრობდნენ ფილოსოფიაზე, კულტურაზე, პოეზიაზე და ა.შ; **აბასყული ალა ბაქიხანოვი** - პოეტი, მთავარმართებლის თარჯიმანი და მეცნიერი. **ირზა ფათალი ახუნდოვი** - განმანათლებელი და „კავკასიის მოლიერად“ წოდებული პირველი დრამატურგი და მუსლიმურ აღმოსავლეთში კრიტიკული აზროვნების თაურმდგენი. იგი 1834 წელს ჩამოვიდა თბილისში და 1878 წელს თბილისშივე, საკუთარ სახლში აღესრულა (სადაც ახლა მისი სახელობის მუზეუმი და აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრია გახსნილი). დაკრძალულია დღევანდელ ბოტანიკურ ბაღში (იხსანად თბილისის მუსლიმთა ვრცელ სასაფლაოზე).

წყარო: <https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbajjanelebis-shesaxeb>

რესობებს აქვთ გარკვეული დანაკლისი, ისტორიის სახელმძღვანელოებიდან საკუთარი ისტორია ამოიკითხონ. რის გამოც უმცირესობებს პროტესტი უჩნდებათ იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად საქართველოში მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა, ისტორიის სახელმძღვანელოში მათი ადგილი ვერ მოიძებნა. დიდი დროის დაკარგვა არ დაგჭირდებათ იმის დასადგენად, რომ ჩვენი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში, მაგალითად აზერბაიჯანულ ან სომხური თემის წარმომადგენლების შესახებ პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, მუდმივად ხდება, ისტორიის ისეთი ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა ფაქტების მიჩქმალვა და იგნორირება, როგორცაა მაგალითად სომხური თემის როლი თანამედროვე თბილისის განვითარებასა და გაძლიერებაში.

აზერბაიჯანელი და ქართველი ეთნოსების დაახლოების მიზნით, მნიშვნელოვანია, ისტორიის სახელმძღვანელოში აღწერილ იქნას აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ისტორიული ურთიერთობების საუკეთესო გამოცდილება, წარმოჩენილ იქნას აზერბაიჯანული თემის ის წარმომადგენლები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთიერთობების გაღრმავების კუთხით. მნიშვნელოვანია, ისტორიის სახელმძღვანელოებში მოცული იყოს ინფორმაცია საქართველოში აზერბაიჯანელების ისტორიისა და მათი იდენტობის საკითხის შესახებ.

დაახლოების კუთხით, მნიშვნელოვანია ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, მოცემულ იქნას ინფორმაცია, ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოებში მოხვდეს აზერბაიჯანელი ავტორების ნაწარმოებები, როგორც ქართული ლიტერატურის ნიმუში. ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობები უძველესი დროიდან მოდის და ისეთივე ძველია, როგორც ქართველ და აზერბაიჯანელ ეთნოსებს შორის ისტორია.

### **აზერბაიჯანელი პოეტი -**

#### **მამედ არზმა:**

„ისმის კითხვა, როდის დაიწყო ურთიერთობა ამ ორ ერს შორის? რომელიმე მხარე იყო ამ ურთიერთობის სულისჩამდგმელი? თუ ყველაფერი ერთდროულად და თავისთავად მოხდა? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. ჩვე გვაერთიანებს ერთი მზე, მიწა, წყალი და ჰაერი, აგერ უკვე მრავალი წელია.“

#### **აზერბაიჯანელი მთარგმნელი და ფილოლოგი - შურადინ მამადლი**

„გეოგრაფიულმა მსგავსებამ, ისევე, როგორც იმ ფაქტმა, რომ მათ ქართველებს და აზერბაიჯანელებს მუდამ საზიარო ჰქონდათ მზე, წყალი და ნიადაგი, ამ ორი ერის წარმომადგენელი მთისა და ბარის საძოვრებსა და ზამთრის ქოხებში ერთად შეჰყარა, ეს ყველაფერი კი აისახა ლიტერატურაში“.

**წყარო:** მუშვიგ ჩობანოვი, *აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები, ჟურნალი - „ქართველოლოგი“, 2017.*  
<https://www.academia.edu/35407801>

არადა დიდწილად, სწორედ ისტორიისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით ხდება ადამიანის იდენტობის და დამოკიდებულებების ფორმირება. საქართველოს სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის დომინანტი ეთნოსისა და რელიგიის სტანდარტი ყველაზე კარგად აჩვენებს პრობლემის არსსაც და სიღმისეული, თანმიმდევრული, სამოქალაქო ერის ფორმირებაზე აწყობილი სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობას. შესაბამისად, სკოლები ვერ ახერხებენ მულტიკულტურული გარემოს შექმნას, რომელიც ეთნოსების ურთიერთპატივისცემაზე და თანასწორობაზე იქნება დამყარებული.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში თვალშისაცემია სახელმწიფო კულტურის დომინაციის ტენდენციები, რაც თავის გამოვლინებას ადგილობრივი კულტურის პოლიტიკაში პოულობს. იკვეთება ადგილობრივი დღესასწაულებ-

**დანყებითი სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელი მასწავლებელი ქვემო ქართლიდან:**

„ახლა მე მახსენდება „მე და საზოგადოების“ ერთი აბზაცი ჩვენთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ვართ მწყემსი ხალხი, თურქმენული ტომები შაჰ-აბასის დროს გადმოსახლებულები. ამის გარდა, სახელმძღვანელოებში მგონი სხვა არაფერი წერია ჩვენზე.“

**ქართული ენის მასწავლებლის შეფასება გაუცხოების პოლიტიკის უარყოფით ზეგავლენაზე:**

„სახელმწიფოს გაუცხოების პოლიტიკის შედეგად, უმცირესობების წარმომადგენლები საკუთარ თავს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქვამენ. ბავშვებს სკოლის ასაკიდან საკუთარი თავი წარმოესახებათ როგორც საკუთარი ქვეყნისთვის უცხო, საიდაღაც მოსული. ამაში სახელმძღვანელოებიც დიდ როლს თამაშობენ. მოსწავლე ვერ ხედავს საკუთარ თავს ცერ ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში, უფრო მეტიც, მათ ხშირად, ეს ხელს უშლით საკუთარი იდენტობის დადგენისა და თვითგამორკვევის პროცესში. შესაბამისად, მომავალ გეგმებს ყველა მოსწავლე საკუთარ სამშობლოს ვერ უკავშირეს.“

**წყარო:** <https://emc.org.ge/ka/products/gamotovebuli-sachiroebebi-interesebi-da-istoria-kartuli-enis-stsavlebis-problema-sakartvelos-azerbaijanel-temshi>

ბის წაშლის, უმცირესობების კულტურის სუსტი რეპრეზენტაციის პრაქტიკა.

კულტურული დომინაციისა და ისტორიის წაშლის უახლეს მაგალითს წარმოადგენს, [ეკლესიის მაღალი იერარქებისა და ექსტრემისტული ძალების](#) მოთხოვნა, აზერბაიჯანელი მწერლისა და ბოლშევიკის, ნარიმან ნარიმანოვის, ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით, რომელიც მარნეულშია განთავსებული. მიუხედავად ნარიმან ნარიმანოვის წინააღმდეგობრივი ფუგურისა, ადგილობრივი აზერბაიჯანული თემი მას თავისი კულტურის ნაწილად მიიჩნევს. ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის დემონტაჟის საკითხი სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ,

სასულიერო პირების ჩარევის გარეშე, აზერბაიჯანული თემის წევრებთან ერთად დემოკრატიული და ინკლუზიური ფორმატების გამოყენებით უნდა გადაწყვიტონ.

უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე [მკვლევარები](#) აცხადებენ, რომ აზერბაიჯანული კულტურის რეპრეზენტაციის თვალსაზრისით, ძალიან დიდი ჩავარდნაა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. კვლევებით დასტურდება, რომ როდესაც ადგილობრივი თემი საუბრობს აზერბაიჯანულ კულტურაზე, ისინი არ თვლიან მას მებობელი სახელმწიფოს - აზერბაიჯანის კულტურად, განსხვავებით ეთნიკურად ქართველებისგან, რომელთა შორისაც დომინირებს სწორედ ასეთი, მებობელი სახელმწიფოს პრიმატის, განწყობა.

კულტურული დომინაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს [ქვემო ქართლის გუბერნატორის ოფისის 2018 წლის ვიდეო](#), რომელიც ქვემო ქართლის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გაზრდას ისახავდა მიზნად. ვიდეოში აღბეჭდილი იყო მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური კულტურის ძეგლები. არც ერთი სიტყვა ადგილობრივ ტრადიციებზე, ქვეყნის მრავალფეროვნების ხიბლზე, რომელიც სწორედ ამ რეგიონში შეიძლება იხილოთ ან სხვა, რომელიც იქ მაცხოვრებელი აზერბაიჯანული თემის კულტურული ტრადიციების, სამზარეულოს, ისტორიის ფასდაუდებელ ღირებულებაზე, და საქართველოს როგორც მულტიკულტურული საზოგადოების ხიბლზე გააკეთებდა აქცენტს. უმცირესობების კულტურა ვიდეოში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, რაც ალბათ უფრო მეტია, ვიდრე კულტურული დომინაცია და არადომინანტური თემის კულტურის მიზანმიმართულ იგნორირებას ან უბრალოდ მის წაშლას ისახავს მიზნად. [„ეთნიკური უმცირესობები გადაქცეული არიან „მკვდარ სულეებად“ სახელმწიფოსთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ან ინსტიტუტებისთვის“.](#)

მაგალითად, [მარნეულის კულტურის ცენტრის რესურსების დიდი ნაწილი დომინანტური კულტურისთვის იხარჯება](#) მაშინ,

როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არადომინანტურ ეთნოსს წარმოადგენს. მარნეულის კულტურის ცენტრის ბოლო სამი წლის შეფასებით გამოიკვეთა, რომ კულტურული ღონისძიებები არ იმართება ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის გასაგებ ენაზე, 2018 წელს განხორციელებული 68 ღონისძიებიდან, მხოლოდ 8 ეძღვნებოდა ან შეიცავდა ეთნიკური უმცირესობის კულტურის ელემენტებს. ამასთანავე, ტრანსპორტისა და ინფრაქტრუქტურული პრობლემების გამო, ცენტრიდან დაშორებული სოფლების მაცხოვრებლებს, თუნდაც ამგვარ კულტურულ ღონისძიებებზე წვდომის პრობლემა გააჩნიათ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ჩატარდეს კულტურული ღონისძიებები აზერბაიჯანული ტრადიციული ელემენტებით და ტრადიციების დაცვით, ღონისძიებები მხოლოდ ქართული შემადგენლით არის გაჭერებული. ამასთანავე, [ქვემო ქართლის იმ აზერბაიჯანულ სოფლებში, სადაც მხოლოდ ეთიკურად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, სოფლების დასაწყისში და სასაფლაოებზე აღმართულია ქრისტიანული ჯვრები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვემო ქართლის მონიშნა ექსკლუზიურად ქრისტიანულ მიწად ხდება](#). ამასობაში გაუგებარია, რა მიზნის მიღწევას ცდილობენ ის ადამიანები, ვინც სახელმწიფო პოლიტიკის ამ რანგის გადაწყვეტილებების მიღებაზე არიან პასუხისმგებელი. რა შედეგის მოლოდინი შეიძლება არსებობდეს? ფაქტია, რომ ამგვარი პოლიტიკა, არც სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და არც დაახლოებას, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგაც, ზვიად გამსახურდიას მიერ ნახსენები და უარყოფილი „გათანაბრების პოლიტიკა“ კვლავაც უარყოფილია, და ამ მუდმივი დომინაციისა და იგნორირების მცდელობაში, სინამდვილეში პრობლემები და სახელმწიფოებრივი ტრაგედიები გავამრავლეთ მხოლოდ.

სახელმწიფოს უჭირს იმ ფაქტის გააზრება, რომ კულტურის პოლიტიკას, კოლექტიური მეხსიერების პოლიტიკას და

განათლების პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა და შესაძლებლობა აქვს ქვემოთაღნიშნული ინკლუზიური და თანასწორობის საფუძვლებზე მდგარი სახელმწიფოსა და საზოგადოების კონსტრუირებისთვის. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს ის, რომ მან საერთონ ისტორიაში ხელი შეუწყოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების როლის წარმოჩენას და ამით ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება და ერთობა გარდაუვალ ფაქტად აქციოს. რადგან კულტურათა გაუცხოება და უმცირესობების კულტურის მარგინალიზება, შესაბამისად კი სახელმწიფოებრიობის პრობლემები იწყება მაშინ, როდესაც ყველა ჯგუფი ვერ ხედავს ურთიერთ თავსებადობას და საკუთარ ადგილსა და ბმას საერთო წარსულთან, კულტურასთან და ისტორიასთან. დღეს, თავად დომინანტური ეთნოსი და კულტურა, თავისი გაუცხოების რიტორიკით, ქმნის „უცხო“ ხატს ეთნიკური უმცირესობებისგან, მაშინ, როდესაც თავად ეთნიკურ უმცირესობებში აბსოლუტურად სხვა განწყობები და სურვილებია ინტეგრაციის მიმართულებით.

**ნაკაჯივი - „ენა, რომ არ იცით, უნდა გაჩუმდეთ და უშუაგები არ მოითხოვოთ“**

ქსენოფობიურ კონტექსტში გამოიკვეთა აგრესიული [ნარატივი](#) - „კეთილი ინებონ და ენა ისწავლონ“, „ინტეგრირდნენ და ჩაერთონ ქვეყნის ცხოვრებაში“, [„კანდემის დროს ქართული, რომ სცოდნოდათ, ყველაფერს გაიგებდნენ“](#) და სხვა. ჯერ კიდევ 1990- იანი წლებიდან მოდის ეს ნარატივი - „ენა, რომ არ იცით, უნდა გაჩუმდეთ და უფლებები არ მოითხოვოთ“. ამგვარი განწყობა ჯერ კიდევ მოჰყვება საზოგადოების სოლიდურ ნაწილს, რაც კიდევ უფრო მეტი გარიყულობის გარემოს ქმნის უმცირესობებისთვის.

სახელმწიფო განათლების სისტემის ფუნდამენტური ხარვეზების გამო, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლე-



ბულ რეგიონებში ადგილობრივი თემების მიერ ენის ცოდნა მნიშვნელოვნად დაბალია. სხვადასხვა მონაცემებით, ის საშუალოდ 65%-ს აღწევს.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილში ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე და აქედან წარმოქმნილი პრობლემები, თავად ადგილობრივ თემს ბრალდება, თითქოს მათ არ სურთ ენის სწავლა და ინტეგრაცია. ისე საყვედურობენ, „ქართულის არცოდნის“ გამო აზერბაიჯანულ თემს, რომ კითხვასაც არავინ სვამს, თუ როგორ იზრუნა სახელმწიფომ წლების განმავლობაში ამ საკითხზე. არც საზოგადოების დიდი ნაწილი და არც სახელმწიფო, არასდროს საუბრობენ იმაზე, თუ რა არის ენის არცოდნის სტრუქტურული მიზეზები და რა გზებით შეიძლება უმცირესობებს ენა ეფექტიანად ასწავლონ.

**ადგილობრივი აქტივისტი - ელნურ ალისოი:**

„როგორ შეიძლება, აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ქართულ ენას 12 წელი ვსწავლობდეთ და სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეების უმეტესობამ ენა მაინც არ იცოდეს? ესეიგი განათლების სისტემაში ბევრი პრობლემა არსებობს. მაგრამ, რატომღაც, ბრალს აზერბაიჯანულ თემში ეძებენ, თითქოს ქართული ენის საკითხი თავად თემის ბრალი იყოს“.

**წყარო:** <https://emc.org.ge/ka/products/dominanturi-mzera-azerbaijaneli-temi>

სახელმწიფოს რატომღაც ავიწყდება, რომ მის პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, ენა ასწავლოს უმცირესობის თემს და საამისოდ ხელმისაწვდომი გარემო შექმნას. ამასთანავე, დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე, უმცირესობებმა სახელმწიფო ენა რომც არ იცოდნენ, მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე. უმცირესობის ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

როდესაც უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლის საკითხს ჩავუღრმავდებით, აშკარაა, რომ თემის ნაწილმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა ენა კარგად იციან. ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის ახალგაზრდების პასუხებმა, ქართულენოვანმა კამპანიებმა აჩვენა, რომ სინამდვილეში, თემის ახალგაზრდა წევრები ქართულ ენას სრულყოფილად ფლობენ, თუმცა, მათი ინტეგრაცია და ეფექტიანი ინკლუზია საზოგადოებაში მაინც ვერ ხორციელდება, რაც სხვადასხვა პრობლემით არის განპირობებული. ენის ცოდნა თავისთავად ინტეგრაციას არ ნიშნავს. ენა არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ინსტრუმენტი უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით. უმცირესობების მიერ ენის არცოდნის საკითხზე მუდვი ხაზგასმა და მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება არსებით წინაღობას უქმნის უმცირესობებს ინტეგრაციას და საზოგადოებაში მათ გაუცხოებას იწვევს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის აქტივისტის შეფასებით „როდესაც სიძულვილის შემცველ პოსტებს კითხულობენ ადგილობრივი თემის ახალგაზრდები, რომლებმაც ენა კარგად იციან და ინტეგრაციაც სურთ, ამგვარი ქსენოფობიური განცხადებების მოსმენის შემდეგ, მათ ეკარგებათ ინტეგრაციის სურვილი და ხელისუფლების მიმართ სრული უნდობლობა უჩნდებათ.“

**აზერბაიჯანული თემით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ენის არცოდნა კომპლექსური პრობლემებით არის გამოწვეული, რომელთა შორისაც პრევალირებს სკოლებში სწავლების დაბალი ხარისხი, უხარისო სახელმძღვანელოები, მასწავლებლთა დაბალი კვალიფიკაცია და სიმცირე, სკოლების ინფრასტრუქტურა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არარსებობა და სხვა.**



საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა, სადაც 900-მდე მოსწავლე სწავლობს, სამი წელია, რაც კერძო პირებისგან ნაქირავებ სათავსოებში ფუნქციონირებს. მოსწავლეებს გაკვეთილები იმ ოთახებში უტარდებათ, სადაც ადრე ბოსელი იყო.

**წყარო:** <http://icode.ge/2011/05/23/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1/>

EMC-ის კვლევებით დასტურდება, რომ არადომინანტური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სწავლების ხარისხი დაბალია, თუმცა, ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 1+4 პროგრამის ამოქმედების შემდეგ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლის სურვილი, მზაობა და პროგრესიც არსებობს. 1+4 პროგრამა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ახალგაზრდების უმაღლესი განათლების რეალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს, რაც ამ პროგრამის ეფექტიანობაზე მიუთითებს და მისი დაწყება ნამდვილად მისასალმებელია.

ენის სწავლების კუთხით, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, სკოლებში ქართული ენის სწავლების დაბალი ხარისხი. მოსწავლეები 12 წლის განმავლობაში სკოლაში ქართულ ენას იმ საფუძვლიანობით ვერ სწავლობენ, როგორც 1 წელში უნივერსიტეტებში 1+4 პროგრამის დახმარებით. მოსწავლეების შეფასებით „სკოლაში ყოველდღე ერთსაათიანი ქართული ენის გაკვეთილი ვერ პასუხობს მათ საჭიროებებს, ის არ არის ხშირად საკმარისი ქართული ენის სწავლისთვის და ენის სასწავლად დამატებით კერძო რეპეტიტორებთან მომზადება ესაჭიროებათ.“

„მასწავლებელთა განმარტებით, ქართული ენის სახელმძღვანელოებში გრამატიკა ძალიან მწირად არის მოცემული, სახელმძღვანელოები მთლიანად ქართულად არის დაწერილი ქართველების მიერ, რომელთაც არ იციან რა პრობლემები აქვს თემს ან როგორც უნდა ასწავლონ ენა.

**საქართველოს სახელმწიფოს აქვს სწორება იმაზე, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა სახელმწიფო ენა უნდა ისწავლონ.**

ეს არის პოლიტიკის დასაწყისით, არსიც და ბოლოც. ალბათ ამის გამოხატულებაა ის, რომ ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში თვითმმართველობები საჯარო ინფორმაციასაც კი არ გასცემენ უმცირესობების ენაზე და თარგმანის რესურსებიც არაორგანიზებულად გამოირჩევა. ქართული ენის შესწავლის ვალდებულებაზე კონცენტრირება არის მიზეზი იმისა, რომ თვითმმართველობის ვებგვერდებიც არ არის ორენოვანი, რაც ადგილობრივ თემს თვითმმართველობასთან, როგორც პირველი დონის დემოკრატიასთან ურთიერთობის შესაძლებლობას მისცემდა. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაში არაქართველების მონაწილეობა ილოზურულია. ხელისუფლების მიზანი ის კი არ არის, რომ ცენტრალურ ან ადგილობრივ დონეზე უმცირესობების ინტერესების გამომხატველი საჯარო მოხელეები და თანამდებობის პირები მუშაობდნენ, არამედ, ის, რომ მხოლოდ მოჩვენებითი მრავალფეროვნება წარმოაჩინონ.

„**როდესაც თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ქართულ ენაზეა შესაძლებელი, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, მათი პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებაზე საუბარი რთულია. აღნიშნული ფაქტორი, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არსებითად**

## რიყავს მუნიციპალიტეტის პოლიტიკური პროცესებიდან და არათანაშორ მდგომარეობაში აყენებს მას“.

*ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება მარნეულის მუნიციპალიტეტში, პოლიტიკის დოკუმენტი, EMC, 2020*

სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პოლიტიკა არის მკვეთრად დისკრიმინაციული. იკვებება ცრურწმენებით და სტერეოტიპებით იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს უმცირესობებს არ აინტერესებთ და არ სურთ ქართული ენის შესწავლა, არ აქვთ შესაბამისი განათლება და კულტურა, რომ მედიიდან მიიღონ ინფორმაცია და სხვა. შესაბამისად, სახელმწიფო თვლის, რომ თუ უმცირესობებს სურთ ინტეგრაცია, კეთილი ინებონ და ენა ისწავლონ. ენობრივი დომინაციის საილუსტრაციოდ გამოდგება პარლამენტის წევრის, ემზარ კვიციანის, განცხადება, როდესაც მან სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმეღლესი სამმართველოს შეიხს, ქართული ენის არცოდნის გამო შენიშვნა მისცა და მიუთითა, რომ თუ ის საქართველოს მოქალაქეა, ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკოს.

ენის პოლიტიკაში არსებული გამოწვევები და ეთნიკური უმცირესობების დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა უმცირესობების სოციალურ ექსკლუზიას და მოწყვლადობას ზრდის. პოლიტიკურ ცხოვრებაში, არსებული რეალობის იგნორირებით, ქართული ენის დომინაციის პოლიტიკა არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რიყავს და მის მარგინალიზებას ახდენს. ერთმნიშვნელოვანია, რომ ენის ცოდნის გარეშე ინტეგრაცია არის ილუზია. საერთაშორისო გამოცდილებაც აჩვენებს, რომ თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში სახელმწიფო ენა არ იცინა

და მხოლოდ ადგილობრივ ენაზე საუბრობენ, მათი ჩართულობა საერთო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მინიმალურია და ხშირად ადგილობრივი დონით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, სახელმწიფო საკუთარი პასუხისმგებლობის პრიზმიდან ვერ იზიარებს იმას, თუ რა სისტემური პრობლემები დგას სახელმწიფო ენის არცოდნის უკან და ამ დისკურსში უგულვებელყოფს უმცირესობების უფლებას, საკუთარ ენაზე მიიღონ ინფორმაცია.

## უმცირესობები, კომოკს საუკოხა

დომინანტური მხერის და შოვინიზმის ერთ-ერთ გამოხატულოებას წარმოადგენს ის, რომ უმცირესობები აღქმულია და შეფასებულია, როგორც საფრთხე და არასაზღო მოქალაქეები. უმცირესობების საფრთხედ აღქმა დამახასიათებელია, როგორც სახელმწიფო ორგანოებისთვის, ისე დომინანტური რელიგიისთვის და საზოგადოების ერთი ნაწილისთვის<sup>2</sup>. სამოქალაქო ერის ფორმირებაზე დაფუძნებული ხედვის ნაცვლად, სახელმწიფოს მიერ რელიგიური თუ ეთნიკური გაერთიანებები შეფასებულია უსაფრთხოების თვალთახედვიდან, რაც თემის მოწყვლადობას კიდევ უფრო ზრდის და მის მარგინალიზებას ახდენს. როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშებიდანაც ვლინდება:

**სახელმწიფო ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს უსაფრთხოების ქრილში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ გამოყენების სავარაუდო ობიექტად განიხილავს.**

*საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში (01.01.2018 – 31.12.2018).*

2 მედია-კავშირ ობიექტივის შურნალისტის ნიკოლოზ მჟავანაძის შოვინისტური გამოსვლა და ნარატივი - საქართველო, მხოლოდ ქართველებისთვის. იგი ობიექტივის ტელევიზიიდან, კარანტინის დროს სისტემატიურად აჟღერებდა დეზინფორმაციას, თუ როგორ ჩაგრავენ ეთნიკური აზერბაიჯანელები ეთნიკურ ქართველებს და ხმამაღლა საუბრობდა რეგიონში ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ საფრთხეებზე, <https://www.facebook.com/watch/?v=207815850328671>

ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამომდინარე ქსენოფობიურ განწყობებს, სახელმწიფო ხშირად კონკრეტულ პოლიტიკურ მიდგომებში თარგმნის, როდესაც უმცირესობებს საფრთხედ და სახელმწიფოსთვის საშიშ ძალად წარმოაჩენს. სახელმწიფო უგულვებელყოფს საერთაშორისო ვალდებულებებს და მის ნაცვლად ცდილობს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეშვეობით, ტოტალური კონტროლი დაამყაროს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე, განსაკუთრებით, საარჩევნო პერიოდში. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში, არადომინანტური თემის მიერ გაუღებელი უკმაყოფილება, მაშინვე უსაფრთხოების პრობლემაში გადაითარგმნება. უმცირესობების უსაფრთხოების ქრილში მოაზრების გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ მაგალითად, 2020 წლის 16 აპრილს, სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს ხელმძღვანელი, შეიხი მირტაგი ასადოვი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიბარა და მის მიმართ გამოძიება საბოტაჟის ბრალდებით დაიწყო. საქმის გარემოებები კი შემდეგი იყო.

2020 წლის 30 მაისს, მარნეულის მოვლენებთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სრულიად ბუნდოვანი საფუძვლით და მიზეზით, რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. სუს-ის განმარტებით, საქართველოში კონკრეტული პირები და პირთა ჯგუფები ცდილობდნენ ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში, ეთნიკურ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის გაღვივებას. გამოძიების ფარგლებში, სუს-ში გამოკითხვაზე მუსლიმი სასულიერი პირები და აქტივისტები დაიბარეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა არც სახელები დაასახელა და არც ის თქვა, რომელი ჯგუფები არღვევდნენ თანასწორობის პრინციპებს. სუს-ის განცხადება დარჩა ტექსტად, რომელიც „უსაფრთხოების“ ინტერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პირის ან პი-

რთა ჯგუფის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოს. ამგვარი ბუნდოვანი გამოძიებები შეიცავენ უმცირესობების დაშინების საფრთხეს და მათ კიდევ უფრო მეტად დისტანცირებას უწყობენ ხელს.

ეთნიკური უმცირესობების საკითხის უსაფრთხოების ქრილში განხილვის მიზეზად, ხანდახან რუსული პროპაგანდის და სეპარატისტული მიდრეკილებების გაღვივების შიში სახელდება, რაც ცალსახად უნდა ითქვას, რომ უმცირესობების გარიყვით და მარგინალიზებით ვერ დაიძლევა.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხად, უმცირესობების ქცევა 1991-1992 წლებს უკავშირდება.

” 1991-1992 წლების ომმა მტკივნეული მოვლენები დატოვა და ნაპრალი გააჩინა ეთნიკურ უმრავლესობას - ქართველებს და ეთნიკურ უმცირესობებს შორის და უმცირესობებთან ურთიერთობები ეროვნული უსაფრთხოების საკითხად აქცია.“

პოლიტიკის დოკუმენტი -

„ეთნიკური უმცირესობები საქართველოში:

მედიის მეშვეობით ჩართულობიდან

გაძლიერებისკენ“, OSGF, 2016

მიხეილ სააკაშვილის განცხადებული პოლიტიკა უმცირესობებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეას და უმცირესობების ფართო ინტეგრაციას ეფუძნებოდა. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს შემოვიდა ტერმინი „ქართველი სომეხი“, „ქართველი აზერბაიჯანელი“, რაც უმცირესობების მხრიდან დადებითად აღიქმებოდა. შესაბამისად, ქართველობა გახდა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის, არამედ საერთო, ზოგადი ეროვნულობის აღმნიშვნელი. „ქართული ოცნება“ დეკლარირებულად სამოქალაქო ნაციონალიზმის მშენებლობის გზას ადგას, თუმცა, ორივე შემთხვევაში, კონკრეტული ნაბიჯები, სხვადასხვა ინტენსივობით, ეთნორელიგიურ დომინაციასა

და უმცირეობების „მტრის და უცხო ხატად“ წარმოჩენაზე მიუთითებს. საქართველოში, პრაქტიკული, რეალური პოლიტიკის სივრცეში, მუდმივად ხორციელდებოდა ეთნორელიგიური ნაციონალიზმის პოლიტიკა, სადაც თუ არ ხარ მართლმადიდებელი, ეთნიკურად ქართველი, ესეიგი არ ხარ ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე და ნდობის ღირსი. მუსლიმი თუ ხარ, სახელმწიფოსთვის აპრიორი აღიქმები, როგორც უფრო პრობლემა, ვიდრე რესურსი.

უმცირეობების თემატიკის მუდმივად, უსაფრთხოების ქრილში განხილვაზე მიუთითებს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი - პაატა ზაქარეიშვილი. მისი შეფასებით, უმცირეობების სახელმწიფო პოლიტიკა მუდმივად უსაფრთხოების სამსახურის დომენს წარმოადგენდა და მრავალეთნიკურობა საფრთხედ მიიჩნევა. უმცირეობების საკითხებს კი დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მართავს. ყოფილი სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩაურევლად და კონტროლის გარეშე, უმცირეობებთან დაკავშირებით უმნიშვნელო გადაწყვეტილებებსაც კი ვერ იღებდა<sup>3</sup>.

**კვლევის რესპოდენტი: პაატა ზაქარეიშვილი:**

„თავის დროზე ჩვენ ავნიეთ რელიგიური ნაციონალიზმი, ასევე შევძელით ეროვნული ნაციონალიზმის აწევა და ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვერ ვწევთ სამოქალაქო ნაციონალიზმს დღეს. მართლა არ ვართ ხელწამოსაკრავი ერი, მოდერნიზებადი ერი ვართ, განათლებულები, უცხოეთში ნასწავლები და უცებ ვბორძიკობთ ელემენტალურ საკითხზე, ვერ გადავდივართ თანასწორობაზე. მე მაინც მგონია, რომ თაობა უნდა შეიცვალოს, სამწუხაროდ საბჭოთა კავშირმა დაგვაკარგინა სოლოდარობისა და თანასწორობის განცდა. შესაბამისად ამას სჭირდება თაობების ცვლა“.

საქართველოში უმცირეობების უსაფრთხოების ქრილში განხილვის პრობლემურობაზე საუბრობს, [ეროვნულ უმცირეობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი თავის 2019 წლის ანგარიშში](#). კომიტეტის შეფასებით, უმცირეობის საკითხები უსაფრთხოების ქრილში და ერი-სახელმწიფოს შენების კონტექსტში განიხილება და შესამჩნევია ზოგიერთი უმცირეობებისადმი უნდობლობაც. რელიგიური და ენობრივი უმცირეობების საკითხები პოლიტიზირებულია, საკითხების ობიექტურად შესწავლის გარეშე.

უმცირეობების საფრთხედ აღქმა ასევე ჩანს სახელმწიფოს მიდგომიდან, არაქართულენოვანი მაუწყებლობის არსებობის მიმართ. დომინანტური მოსაზრებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე არაქართულენოვანმა მაუწყებლობამ, შესაძლოა ქვეყნის ინტერესებისთვის ზიანის მომტანი ზეგავლენა მოახდინოს. როგორც [კვლევებით](#) დასტურდება „**აპელირება ხდება ხოლმე აღნიშნული ჯგუფების ეროვნულ თვითშეგნებასა, თუ იდენტობის ჩამოყალიბებაზე**“. სახელმწიფო რატომღაც ვერ აანალიზებს საკუთარი არადომინანტური ჯგუფის მოქალაქეების ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნის მძიმე სოციალურ და ჰუმანიტარულ შედეგებს, რომლის ფასის გადახდაც უმცირეობებს, ხოლო საბოლოო ჯამში, თავად ქართულ სახელმწიფოს, ყოველდღიურად უწევთ.

**სახელმწიფოსა და მედიის გამომწვევაები უმცირეობების ინფორმირებასთან დაკავშირებით და თანამედროვე შედეგები**

ეთნიკური უმცირეობებისთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი მაუწყებლის ან კერძო ტელეკომპანიების მიერ გავრცელებული ინფორმა-

3 პაატა ზაქარეიშვილი წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკითხა.

ცია, რაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, უმცირესობის თემის არაინფორმირებულობას და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყვას იწვევს.



სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის 2019 წლის კვლევის მიხედვით, სომეხი თემის მხოლოდ 21% და აზერბაიჯანელი თემის მხოლოდ 13% იღებს ინფორმაციას, ყოველდღიურად საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

როგორც კვლევებმა აჩვენა (მაგალითად, კვლევა - „ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია, EMC, 2020), კორონავირუსის გავრცელების პერიოდშიც „პირველ არხზე გასული ინფორმაცია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის იყო დაგვიანებული, მისი მიწოდება არ იყო ორგანიზებული ისე, რომ რაც შეიძლება ფართო აუდიტორიამდე მისულიყო, ხოლო თავად გავრცელებული ინფორმაცია იყო მოკლე, მშრალი, არასიღრმისეული და არაგანახლებადი“.

ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის ქართულენოვან მედიასაშუალებებზე შეზღუდული წვდომა მთავარი მიზეზია იმისა, რომ კარანტინის დროს, მოსახლეობაში სახელმწიფოს რეკომენდაციები არასაკმარისი სიმძაფრით იყო აღქმული, რამაც თემში დაბნეულობა გამოიწვია. ფონდ - „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ჩატარებულ კვლევა აჩვენებს, რომ აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი უყურებს ქართულ მედიას. შესაბამისად, ინფორმაციული დანაკლისის შევსების მიზნით, უმცირესობები უცხოურ მედიას, ძირითადად, რუსულ სატელევიზიო არხებს უყურებენ და პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ადგილი სამიზნეები ხდებიან.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც შეზღუდა უმცირესობის ენაზე ტელეეთერით მაუწყებლობის რესურსები და ონლაინ პლათფორმების შექმნაზე გადავიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტი არ არის ის საშუალება, რომელიც

მოსახლეობის მიერ ინფორმაციის მიღების პირველად წყაროს წარმოადგენს.



**წყარო:** [https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia\\_poll\\_11.18.2019\\_final.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia_poll_11.18.2019_final.pdf)  
[https://www.iri.org/sites/default/files/iri\\_poll\\_presentation-georgia\\_june\\_2020\\_general-aug\\_4\\_corrections\\_1.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_june_2020_general-aug_4_corrections_1.pdf)

ინტერნეტს იყენებენ ახალგაზრდები, რომლის დიდმა ნაწილმა უკვე იცის ქართული ენა. ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიაა. მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ კერძო ტელეკომპანიებს არ აქვთ უმცირესობების ენებზე ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა, სუსტია ადგილობრივი და რეგიონალური სატარო თუ კერძო მედია დაფარვა.

ენის და საინფორმაციო პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირების კუთხით, ორი ადრესატი იკვეთება:

პირველს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ხისტ პოლიტიკას აგრძელებს და უარს აცხადებს ინფორმაციის მიწოდებაზე ეთნიკური უმცირესობების ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, რომ მათ შორის უმცირესობებს გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია. მეორე ადრესატს კი წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც აგრძელებს რიტორიკას, რომ უმცირესობებმა ენა არ იციან და აუცილებელია ენის სწავლება გააგრძელონ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის სწორება თანხვედრაშია სახელმწიფოს პოლიტიკასთან, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა კეთილი ინებონ და სახელმწიფო ენა ისწავლონ. ალბათ ამ რიტორიკის გამოძახილია ისიც, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობები საჯარო ინფორმაციას არ გასცემენ უმცირესობების ენაზე, თარგმანის რესურსები კი არასისტემურობით და არაორგანიზებულობით გამოირჩევა. ენის პოლიტიკის გაგრძელებაა ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ვებგვერდებიც კი არ არსებობს ორ ენაზე, რაც ეთნიკურ უმცირესობებს მისცემდა თვითმმართველობასთან ინტერაქციის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, სახელმწიფო მაუწყებელი მხედველობაში არ იღებს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ გამოწვევებს ენის შესწავლასთან დაკავშირებით, მათ შორის, იმას, რომ აზერბაიჯანულ და სომხურ თემს უხარისხო განათლების სერვისები მიეწოდებათ. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, მმართველობის ყველა დონეზე იკვეთება სახელმწიფო ენის დომინაციის პოლიტიკა და მთელს ამ დისკურსში უგულვებლყოფილია უმცირესობების უფლება, საკუთარ ენაზე მიიღონ ინფორმაცია და საჯარო სივრცეებშიც იყოს მათი ენა გამოყენებული. სახელმწიფო კი ვერ იაზრებს, რომ ამგვარი მიდგომა უმცირესობების პოლიტიკურ ექსკლუზიას და გაუცხოებას იწვევს.

სახელმწიფომ უნდა გაიაზროს, რომ უმცირესობებისთვის ენის სწავლება მის პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. ხოლო, თუკი ეს სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის, იგი ვალდებულია დაეხმაროს მოქალაქეებს ინფორმაციის მიღების პროცესში.

დღეს თუ გადავხედავთ მედიასაშუალებებს, ეთნიკური უმცირესობები ძირითადად, წარმოჩენილნი არიან სტერეოტიპულ და უარყოფით კონტექსტში, როგორცაა: ნაადრევი ქორწინება, გოგოების მოტაცება, ნარკორელიზაცია და სხვა. დომინანტურ და არადომინანტურ თემს შორის გაუცხოება კი კონკრეტულ სოციალურ პრობლემებს ქმნის. შესაბამისად, უმცირესობებზე ამგვარი უარყოფითი წარმოდგენები საზოგადოებაში მყარად იკიდებს ფეხს, რაც შემდეგ მათ მიმართ ქსენოფობიურ და რასისტულ გამოვლინებებში აისახება. პანდემიის დროს, ქსენოფობიურმა განწყობებმა სწორედ ამ ინფორმაციული ვაკუუმის, ენის და მაუწყებლობის პოლიტიკის ხარვეზები გამოავლინა. სწორედ ინფორმაციულმა ვაკუუმმა და იზოლაციამ გამოიწვია კოვიდის დროს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების რასიალიზაციის შემთხვევები.

დომინანტურ და არადომინანტურ თემს შორის გაუცხოებისა და ქსენოფობიური განწყობების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, მედიამ გაიაზროს საკუთარი როლი. მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საქართველოში მცხოვრები ეთნოსების კულტურის და ტრადიციების პოზიტიური ურთიერთგაზიარების კუთხით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელსაც აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს უმცირესობების ხილვადობის გაზრდას და უმცირესობების ინტერესებზე ორიენტირებული თემატიკის გაშუქებას. სწორედ მედიას აქვს რესურსი და შესაძლებლობა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და რეპრეზენტაციის კუთხით დახმარებისა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ მთავარ

დანიშნულებას ხომ ინტერეთნიკური დიალოგისა და მულტიკულტურალიზმის ხელშეწყობა წარმოადგენს.

## კელიგიური დომინანცია და აკადემიკოსების კრიტიკა

„ყველა ადამიანი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია“.

*ჯორჯ თრუელი*

ეთნორელიგიური ნაციონალიზმის მიდგომით, საქართველოს ისტორია და იდენტობა გააზრებულია მონორელიგიური და ეთნოცენტრული პრიზმიდან, როცა მართლმადიდებელი ამ ქვეყანაში უპირატესობებით სარგებლობს, იგი არის პრივილეგირებული მოქალაქე და მასპინძელი, სხვა დანარჩენი კი „სტუმარი“ „ჩამოსული“ და „უცხო“. ქართულ მართლმადიდებლურ საზოგადოებაში არსებობს ტენდენცია, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელს უყურებდეს „ზემოდან“, როგორც უფრო „განსხვავებულს“. სახელმწიფო უპირატეს მდგომარეობაში აყენებს დომინანტი ეთნიკური ჯგუფის რელიგიას და მის მიმდევრებს, იმიტომ, რომ ისინი არიან ეთნიკურად ქართველები და ქვეყანაში უმრავლესობას შეადგენენ.

### სამირა ბაირამოვა (კვლევის რესპოდენტი)

„ერთ წელს რაჭაში ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად და ერთ-ერთი ეკლესია მოვინახულეთ, სადაც გარკვეული საეკლესიო ცერემონია მიმდინარეობდა. დავინტერესდით და როდესაც მამაოსთან მივედით, თბილად დამიწყო საუბარი, თუმცა, მოგვიანებით ჩემს აქცენტზე მკითხა. როდესაც ვუთხარი, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ვიყავი, ცივად განეწყო ჩემს მიმართ და შემდეგ მითხრა, რომ ჩემთვის დრო არ ჰქონდა“.

საქართველოს ეკლესიის იდეოლოგია მკვეთრად გამოხატულ, აგრესიულ ეთნორელიგიურ ნაციონალიზმს და შოვინიზმს ეფუძნება. იგი რელიგიური და ეთნიკური

უმცირესობების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩევა. ზოგადად, ეკლესიის მიდგომაა, რომ ქართველობა და ქრისტიანობა ერთობაა და მათი განცალკევება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, თუ არ ხარ ქრისტიანი, ვერ იქნები ქართველი.

საქართველოს ეკლესიის მიერ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ძალაუფლების დემონსტრირება და უპატივცემულობა კონკრეტულ პროვოკაციულ ქმედებებში ვლინდება. მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა არის არამართლმადიდებელი, ამ ფონზე, [მარნეულისა და ჰუჭაბის ეპისკოპოსი](#) ქკუას ასწავლის აზერბაიჯანულ თემს, თუ როგორ უნდა მართონ თავიანთი ღირებულებები. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მართლმადიდებლური ეკლესიის მძლავრი გავლენები და მათ მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლური დამოკიდებულება, უთანასწორო ვითარებას და ქსენოფობიურ გარემოს ქმნის, რაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებისგან იზოლაციას და ექსკლუზიას ახდენს.

რელიგიური და ეთნიკური დომინანცია მთელი თავისი სიმძაფრით გამოვლინდა საგანგებო მდგომარეობის დროს, კარანტინის პერიოდში. კოვიდმა დამატებითი შესაძლებლობა მისცა ქსენოფობიური განწყობების გამღვივებელ სასულიერო პირებს, რომლებიც დიდი ხალხით გამოხატავენ აგრესიულ დამოკიდებულებას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ.

საქართველოს ეკლესია [თანამშრომლობს ჰომოფობიურ და ფაშისტურ ძალებთან](#) და ხშირად, ამგვარი ძალების იდეოლოგიასაც იზიარებს. იგი აგრესიულად ერევა საერო ხელისუფლების კომპეტენციებში და დირექტივებს აძლევს ხელისუფლებას, მნიშვნელოვანი საერო საკითხების წარმართვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოს ეკლესიას აქვს დიდი გავლენა პოლიტიკურ ელიტაზე და სარგებლობს განუზომელი პრივილეგიებით.



მარნეულის მოსახლეობის 83%-ზე მეტი არის მუსლიმი, თუმცა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მარნეულისა და ჰუჭაბის ეპარქია 400 000 (ოთხასიათასი) ლარით, ხოლო მეჩეთები მხოლოდ 10 000 ლარით ფინანსდება (კომუნალური გადასახადებისთვის). ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, მხოლოდ ერთი, დომინანტური რელიგიისთვის დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების რეგულარული გადაცემა, მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის თემში უთანასწორობისა და გაუცხოების განცდას იწვევს.

**კანისგული გამოვლინებები აზიკაბიჯანული თემის მიმართ და სახელმწიფო რეაქციების პოლიტიკა**

მარტის მიწურულს კოვიდ-19 დაუდგინდა მარნეულში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეს, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე დღის განმავლობაში სახელმწიფოს რეკომენდაციებს არ ასრულებდა. ამ გარემოებამ ვირუსის მასობრივი გავრცელების საფრთხის განცდა გააჩინა. შედეგად, ერთი, არაიდენტიფიცირებული წყაროს მიერ ინფიცირებული ქალბატონის გამო, მთლიანად მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები საკარანტინო ზონებად გამოცხადდა. კოვიდის გავრცელების საწყის ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან მარნეულისა და ბოლნისის, ისევე, როგორც სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიების, მოსახლეობის ინფორმირების პოლიტიკა ხარვეზიანი იყო. უმცირესობების ენებზე კოვიდთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანია ძალიან გვიან, ბოლნისსა და მარნეულში შემთხვევების მატების კვალდაკვალ, დაიწყო. სახელმწიფომ მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობას პრევენციულად ვერ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, ვირუსის და საფრთხის სერიოზულობის შესახებ. ასევე, დაგვიანდა მოსახლეობის პროაქტიული ინფორმი-

რება ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. მარნეულის მაცხოვრებლების შეფასებით, მათ არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია იმაზე, თუ რა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იყო მარნეულში, რა საფრთხეების წინაშე იდგა მოსახლეობა ან როგორი იყო საჭარო ინტერაქციის სავალდებულო პროტოკოლი.

რეალობის გათვალისწინებით და მხოლოდ პრობლემის აღმოჩენის შემდეგ, მთავრობამ განცხადებების გავრცელება უმცირესობების ენებზე დაიწყო, რასაც საზოგადოების ნაწილის განსაკუთრებული აგრესია მოჰყვა. შოვინისტური განცხადებების გავრცელებამ, სოციალურ ქსელებში, საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო და რაც უფრო შემაშფოთებელია, ის ყოველთვის ორგანიზებულ ხასიათს არ ატარებდა. სპონტანურობის მასშტაბურობა, აჩვენებს იმას, რომ ეს არ არის პანდემიით დაწყებული პრობლემა და მას ფესვები მყარად აქვს გადგმული საქართველოში. ხოლო კოვიდ-19-ით გამოწვეული კონტექსტი, რადიკალურმა და ფაშისტურმა ძალებმა უბრალოდ გამოიყენეს საკუთარი პოზიციონირების გასაძლიერებლად და თავის შესახსენებლად.

„პანდემიამ და მარნეული/ბოლნისის მუნიციპალიტეტების ჩაკეტვამ, ჩვენს საზოგადოებაში არსებული ორი უჩინარი საკითხი გააშიშვლა. პირველი, ქვეყნის შიგნით არსებული უთანასწორობისა და რასიზმის ღრმა და უჩინარი ხაზები. მეორე, ცენტრსა და პერიფერიებს, უმრავლესობასა და უმცირესობას, ელიტებსა და ჩაგრულებს შორის კავშირების ტრივიალური ბუნება,“ - ვკითხულობთ ბოლნისელი აქტივისტის ელმადდინ მამედლის ბლოგპოსტში „წერილი უმრავლესობას: რა მოხდა ბოლნისში, სოფელ დელლერში (მუშევანში)“.



სამხრეთ კავკასიაში კეთილ-მეზობლურ ურთიერთობებს დიდ დარტყმას აყენებენ,



აზერბაიჯანთან ერთად მშობლიური საქართველოს ტერიტორიაზეც და მოსახლეობის მიმართაც დიდი სისასტიკე აქვთ ჩადენილი.“ საქართველოს პარლამენტის წევრის მსგავსი პოზიცია ბუნებრივია არ ემსახურება მშვიდობის გამყარებას, ან ქვეყნის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და შესაძლებელია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად, გააღვივოს წლების მანძილზე არსებული არმენოფობია, რომელიც დრო და დრო იღვიძებს საზოგადოების ფაშისტურად და რადიკალურად განწყობილ ნაწილში.

კონფლიქტის დროს აქტიური იყო საქართველოში აზერბაიჯანის ელჩიც. მის მიერ ქართულ ენაზე გავრცელებულ [განცხადებაში](#) ვკითხულობთ: „პოზიტიურ ფონზე (იგულისხმება საქართველოში) მკვეთრი დისონანსია ოფიციალური ერევნის ინსპირირებული მცდელობები, აღძრას საქართველოს სომხურ მოსახლეობაში აზერბაიჯანის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობის სურვილი. ამ მცდელობებმა აქტიური ხასიათი მიიღო სამცხე-ჯავახეთში, სომხებით კომპაქტურ-

რად დასახლებულ რეგიონებში. სექტემბრის ბოლოდან აქ იმართებოდა სხვადასხვა კამპანიები ფინანსური სახსრების მოსაზიდად და “მოხალისეებში” ჩასაწერად. მიზანი სომხეთის სამხედრო სტრუქტურების მხარდაჭერაა, რომლებიც აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დარტყმების შედეგად თვალსა და ხელს შუა ნადგურდება. ანუ, ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან - აზერბაიჯანთან შეიარაღებული ბრძოლისთვის აქვებებენ”.

წინამდებარე კვლევაში აზერბაიჯანის ელჩის განცხადებაზე ყურადღებას არ ვამახვილებდით, რომ არა მისი მცდელობა საქართველოში მცხოვრები სომხები სეპარატისტებად გამოეცხადებინა. [ამგვარი განცხადებები ვერ ეტევა მეგობარ ქვეყანასთან დიპლომატიური კომინიკაციის ფარგლებში, ვინაიდან იგი ეთნიკური შუღლის გაღვივებისკენ არის მიმართული.](#)

მიუხედავად გამოცხადებული ნეიტრალიტეტისა, აღნიშნულ განცხადებებს ხელისუფლების არანაირი რეაგირება არ მოყოლია, მათ შორის არც მიმართველი პარტიის დეპუტატების განცხადებული პოზიციების შესახებ.

მთიანი ყარაბაღში მიმდინარე ომს საქართველოს მესამე პრეზიდენტი, [მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა](#). იგი საკუთარ ოფიციალურ Facebook გვერდზე წერს: “ჩემი პოზიცია სრულიად ნათელია, ეს ეფუძნება სახელმწიფო მთლიანობის პრინციპს, ესე იგი, მთიანი ყარაბაღი წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენულ ტერიტორიას და ამას არაფერი არ შეცვლის...”. სააკაშვილის ამ განცხადებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოყვა საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხრიდან. ექსპრეზიდენტის პოსტის კომენტარებს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩინოთ ორ, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ მხარეს.

აღნიშნული განცხადების გავრცელების შემდეგ, საქართველოს ეთნიკურად სომეხმა მოსახლეობამ სააკაშვილის განცხადება

დების და მათი აზრით, მთიანი ყარაბაღის გარშემო მიმდინარე მოვლენების არაობი-ექტურად გაშუქების გამო, ტელეკომპანია “მთავარ არხთან” აქცია გამართა, რასაც მალევე მოყვა ექსპრეზიდენტის მორიგი განცხადება, სადაც იგი წუხილს გამოთქვამს დაღუპულ აზერბაიჯანელ და სომეხ მოქალაქეებზე და ამასთანავე, საქართველოში მცხოვრებ სომხებს შეახსენებდა [„მათთვის გაკეთებულ“](#) მრავლობით პროექტებს.

პრეზიდენტ სააკაშვილის ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით და მისი სულისკვეთება ნათლად აჩვენებს გაბატონებულ “ჩვენ” და “ისინი” დაყოფას. გაკეთდა ახალქალაქში, ანუ გაკეთდა მათთვის, კონკრეტულად სომეხი მოსახლეობისთვის და არა მთლიანად საქართველოსთვის და პირიქით, ტვლება მხოლოდ ის რაც კონკრეტულად სომხებისთვის, ან აზერბაიჯანელებისთვის კეთდება, თორემ მაგალითად იუსტიციის სახლის რეფორმა არ გვახსენდება ამ კონკრეტულში. ამგვარი მიდგომა, კი ხელს უწყობს საზოგადოების დანაწევრებას და ნაწილებად დაშლას.

აქედან გამომდინარე რომ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ ფასადურად წარმოადგენენ საქართველოს ნაწილს, ხშირ შემთხვევაში კი განხილულნი არიან ცალკე საზოგადოებად, რომლებიც უბრალოდ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს, საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს სოციალურ ქსელებში გავრცელებლი [კლიპი](#), რომელმაც ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო. ომის პერიოდში მსგავსი ვიდეო მასალის გავრცელებამ საქართველოში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას შეუქმნა ილუზია, რომ საქართველო ომში ერთ-ერთ მხარეს უცხადებს მხარდაჭერას. კლიპის ანონსიც ამგვარი აზრის გაჩენას უწყობდა ხელს “სულ მალე, ახალი კლიპი აზერბაიჯანის მხარდასაჭერად”.

აქვე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს [კანონი](#) სამხედრო ვალდებულებისა



და სამხედრო სამსახურის შესახებ, 45 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად “მოქალაქეს სამხედრო ფორმის ტანსაცმლის და განმასხვავებელი ნიშნები უკანონოდ ტარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად”. მიუხედავად ამისა, არავისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა შემოიფარგლა მხოლოდ განცხადებებით ნეიტრალიტეტის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, თუმცა არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები, რომლითაც მინიმუმ გაემიჯნებოდა საკუთარი პარტიის წევრი პარლამენტის დეპუტატების განცხადებებს. ამასთანავე, არანაირი რეაგირება არ მოყოლია საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის განცხადებას ჩვენს ქვეყანაში სეპარატისტული მოძრაობების არსებობის შესახებ.

# უზენაესობები, აზროვნება და საზოგადოება

2020 წლის 11 ოქტომბერს [სომხეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა](#) თავისი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე დაწერა:


„ამ დღეებში მთელ მსოფლიოში სომხები არჩვენებენ ერთიანობის ძალას. ეს მოძრაობა ასევე უნდა გახდეს მიმზიდველი სხვა ერების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ძალადობას, კორუფციას, ტერორიზმს და სამართლიანობის, თავისუფლების და სიყვარულის მომხრეები არიან.“




იქვე ატვირთა 60 ფოტოსურათი. ფოტოები გადაღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც სომხურმა დი-

ასპორამ მშვიდობიანი აქციებით მხარი დაუჭირა მთიანი ყარაბაღში მცხოვრებ ადამიანებს. ფოტოსურათებზე ეწერა იმ ქვეყნისა თუ ქალაქის სახელი, სადაც გაიმართა აქცია. ამ 60 ფოტოსურათს შორის არის საქართველოში გადაღებული ორი ფოტოსურათი. ერთ სურათზე ლათინური ასოებით წერია "Javakheti", ხოლო მეორეზე "Javaxk", რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში.

ფოტოსურათზე ჯავახეთის ნაცვლად "ჯავახქ" წარწერის გამო, რადიკალურად განწყობილმა ჯგუფებმა მყისიერად მოახდინეს რეაგირება და სომხეთის პრე-




მიერის პოსტის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს იყო ნიკოლ ფაშინიანის მიზანმიმართული კამპანიის ნაწილი. „თქვენ ხომ ხვდით, რომ უკვე ერთი დღეა რაც ეს პოსტი გამოქვეყნდა და ფაშინიანმა დღემდე არ წაშალა ან შეცვალა ეს ფოტო. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მან ეს მიზანმიმართულად გააკეთა და სულაც არაა შეცდომა. გირჩევთ დაიწყოთ თქვენი რეგიონების დაცვა სომხებისგან“ - ამ და მსგავსი შინაარსის სტატუსებს წერდნენ facebook მომხმარებლები.



მსგავსი კომენტარების დიდმა რაოდენობამ საბოლოო ჯამში შექმნა ილუზია, რომ ჯავახეთში მცხოვრები სომხები დამოუკიდებლობას ითხოვენ და საფრთხეს წარმოადგენენ საქართველოსთვის. აღნიშნულ პროვოკაციას წამოეგო უამრავი ადამიანი. ფაშინიანის პოსტს მოყვა ისეთი გამოხმაურებები, რომლებიც ჯავახეთის მოსახლეობას სეპარატიზმში ადანაშაულებდნენ, ამას დაემატა საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის ზემოთ ნახსენები განცხადებაც. აღნიშნულის საპასუხოდ ერთ-ერთი სამოქალაქო აქტივისტი, **ჰართუ მალხასიანი** თავის ფეისბუქ გვერდზე წერს: *“ყარაბაღის ომის დაწყებიდან უკვე ერთი თვე გავიდა და ამ პერიოდში მე პირადად, ჩემს მეგობრებთან ერთად საინფორმაციო ომში აღმოვჩნდი. უკვე ერთი თვეა ვიღაც პირები, რომლებმაც ჯავახეთის ადგილიც კი არ იციან, მის სეპარატიზმზე საუბრობენ და ქართულ სახელმწიფოს აფრთხილებენ ამ მიწების “გაქცევის” თაობაზე. ამ ყველაფერს დაემატა აზერბაიჯანის ელჩიც, წარმოიდგინეთ, საქართველოში აზერბაიჯანის ელჩი ლაპარაკობს ჯავახეთის სეპარატიზმზე და დროშაც კი გამოიგონა თან. მე, როგორც ჯავახეთში დაბადებული და გაზრდილი საქართველოს მოქალაქე მინდა გითხრათ ერთი რამ, ყველა ის ადამიანი ვინც ლაპარაკობს ამ თემაზე, იქნება ქართველი, სომეხი, თუ აზერბაიჯანელი არის საქართველოს ყველაზე დიდი მტერი, და ახლა ბნელ ოთახში კატას ნუ ეძებთ”.*

წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა მრავლობითი შემთხვევები, რო-



მელიც გვაჩვენებს საზოგადოების ერთ ნაწილში გამჭდარ აგრესიასა და მიუღებლობას განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტებში ხშირად ვხვდებით ისეთ წამოძახილებს, როგორცაა *„ეს დამპყლები წკეპლებით გაყარეთ იქიდან! როცა სომხები იბრძოდნენ აფხაზეთში ჩვენს წინ წინააღმდეგ, მაშინ რატომ გააპროსტესტეს“*, *„წავიდნენ თავიანთ სახელმწიფოში და იქ გამოხატონ პრეტენზია“*, კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი ასახელებს ორ მიზეზს, რის გამოც ხშირად ვლინდება არატოლერანტული და აგრესიული დამოკიდებულება ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მიმართ. ესენია:

- აფხაზეთის ომში მონაწილე ეთნიკურად სომეხი და სხვა ეროვნების მებრძოლებისაგან შემდგარი ბალრამიანის ბატალიონი, და
- ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, რომელსაც ხშირად ანტი-სახელმწიფოებრივ ქმედებებში ადანაშაულებენ.

#### კვლევის რესპონდენტი

„მე როგორც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ ახალგაზრდას მიმართია, რომ ამ საკითხებზე ღიად საუბარი და აზრის დაფიქსირებაა საჭირო, რადგან გაეცეს პასუხები ყველა ეჭვს და მოხდეს წარსულის ობიექტური შეფასება. არ ხდებოდეს კონკრეტული ბატალიონის წამოქმედარის გამო ჩემი და ჩემი თანამემამულეების უსამართლო ლანძღვა რომელიც არ დაგვიმსახურებია, არ დაგვდონ ბრალი სეპარატიზმში რომელიც არ არსებობს.“

ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი ქსენოფობიური განწყობები პრობლემას წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი ეთნიკურ უმცირესობებს არასანდო, მეორეხარისხოვან მოქალაქეებად და სახელმწიფოსთვის საფრთხედ მიიჩნევს, ამით ქვეყნის ხელისუფლება აუ-

**კვლევის რესპონდენტი: ინნა სუქიასიანი**

“ვიღაც რაღაცას დაწერს, ჩვენ უნდა ვიმართლოთ თავი, რატომ? რატომ მომეკითხება ყველა, მსოფლიოში ვინმე სომეხი თუ არის, რამეს თუ დაწერს ან რამეს თუ გამოაქვეყნებს მე რატომ უნდა გავცე პასუხი არ ვიცი, ეს კოლექტიური პასუხისმგებლობა ცალკე სენია. ეს ჩვენი საბჭოური გადმონაშთია. მაშინ იყო კოლექტიური პასუხისმგებლობა, იმიტომ რომ კერძო საკუთრება არ არსებობდა, კერძო არაფერი არ არსებობდა, ყველაფერი იყო საერთო და ყველასი და პასუხისმგებლობაც, მათ შორის იყო საერთო”.

ცილებლად უნდა იყოს დაინტერესებული და შესაბამისი ნაბიჯები და სატრატეგია ნათელი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. ის რაც ერთმნიშვნელოვნად თვალშისაცემია, არის ის რომ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლებს მუდმივად თავის მართლების რეჟიმში უწევთ ყოფნა და იმის მტკიცება, რომ ისინი არ წარმოადგენენ საფრთხეს საქართველოსა და ქართველებისთვის, უყვართ საქართველო, არიან ამ ქვეყნის ქვეშევრდომები. განსხვავებით ეთნიკურად სომეხი აქტივისტებისგან, კონკრეტული, თვალშისაცემი და ხელშესახები პოლიტიკური განაცხადი ან სტრატეგიული კომუნიკაციის ნარატივი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს.

**ეკთაღეათი პოლიციური პირობები - საქართველოს სახელმწიფოს სწოკაბა, სახელმწიფო ენის შესწავლაზე**

დომინანტური თემის წარმომადგენლებისგან ხშირად ისმის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის. განვითარებულ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს მოსაზრება მისაღები და ლეგიტიმურია. თუმცა საქართველოში აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას ენის ცოდნის დაბალი დონე და აქედან წა-

რმოქმნილი პრობლემები, როგორც წესი, ადგილობრივ თემს ბრალდება, თითქოს მათ არ სურთ ენის შესწავლა და ინტეგრაცია. სინამდვილეში, ჩვენ შევცადეთ შეგვესწავლა ის პირობები და გარემო, რომელიც ამ განცხადებული პოლიტიკური ამოცანის პირობებს აკმაყოფილებს.

**სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს მის ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის შექმნას სახელმწიფო ენის შესწავლისათვის ხელმისაწვდომი გარემო.** ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო ენას არ ფლობენ მათ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მათთვის გასაგებ ენაზე. უმცირესობების ენაზე ინფორმაციის უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური სასკოლო განათლება უზრუნველყოფს საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო ენის შესწავლას, პრობლემები მაინც დიდია, რის გამოც სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს აქვთ ენობრივი ბარიერი. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სახელმწიფო განათლების სისტემაში არსებული ფუნდამენტური ხარვეზებით.

როდესაც ადამიანი სკოლას ამთავრებს და სათანადოდ არ ფლობს სახელმწიფო ენას, მასში ჩნდება გარკვეული შიშები და არასრულფასოვნების განცდა. რთულია ასეთ ვითარებაში კარიერულ განვითარებასა და წარმატებაზე კონცენტრირება. ადამიანი კონცენტრირებულია საზოგადოებაში ინტეგრაციაზე და „შეცდომების არ დაშვებაზე“.

ენის არ ცოდნის შედეგად სკოლის მოსწავლეები სრულფასოვნად ვერ იღებენ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციებს. შესაბამისად, სწორედ სკოლის ასაკიდან გვხვდება სტრუქტურული უთანასწორობის პირველი შემთხვევები. ცალკე პრობლემას წარმოადგენს განათლების

სისტემა არაქართულენოვან სკოლებში. არსებობს როგორც სასწავლო მასალებთან, ასევე პედაგოგებთან დაკავშირებული პრობლემები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის ცოდნის დინამიკა ბოლო წლებში დადებითად იცვლება. ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამებზე საუბრისას აღსანიშნავია [1+4 პროგრამა](#), რომელსაც შეცვალა რეალობა. კიდევ ერთ ეფექტიან პროგრამას წარმოადგენს [დამხმარე მასწავლებლების პროექტი](#). ეს პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების მივლენას. ისინი ადგილობრივ მასწავლებლებს ეხმარებიან ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში.

სახელმწიფოს ახალი ინიციატივების გამო ეთნიკურ უმცირესობებს მეტი შანსი აქვთ დაეუფლონ სახელმწიფო ენას და ისინი აქტიურად იყენებენ ამ შესაძლებლობას. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტი ახალგაზრდა ფლობს სახელმწიფო ენას, მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია კვლავაც გადაუღახავ პრობლემად რჩება.

იმისათვის, რომ რეალურად ინტეგრაციაზე ვიფიქროთ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ რეფორმები სხვადასხვა ფლანგზე წარმართოს. მათ შორის არის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობა ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებასა და კომუნიკაციის დამყარების მრავალფეროვან გზებს გვთავაზობს. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, დღეს გაცილებით უფრო მარტივად და სწრაფად ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნებას, ისევე როგორც ახალი კავშირების დამყარებას. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ აცხალი ტექნოლოგიები, სოცლალური ქსელები, ინტერნეტი თანდათანობით


ანაცვლებს ინფორმაციის გავრცელების ტრადიციულ ფორმებს, მედია ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეთნიკური უმცირესობებისთვის.

მრავალობითი [კვლევები](#) ადასტურებს, რომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობა ჯერ კიდევ ტრადიციული მედიის მომხმარებელია, და იმავდროულად ეს მედია რესურსი იშვიათად არის ქართულენოვანი. შესაბამისად, პირველ რიგში, ყველაზე დიდ [გამოწვევად](#) სახელმწიფო ენის არცოდნა რჩება. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც ევალეება ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდება, არც თუ ისე წარმატებით ახერხებს აღნიშნულის უზრუნველყოფას. ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთნიკური უმცირესობების ენებზე არ არის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით მძიმედ გამოჩნდა 2020-ში, კოვიდ პანდემისა და ყარაბაღის ომის პირობებში.

ეროვნული ინტეგრაციისა და ერთიანი სამოქალაქო ერის ფორმირებაზე მედიასთან კონსულტაციები და მუდმივი კოორდინაცია, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, რათა არ მოხდეს ხელოვნური ესკალაცია.

საქართველოში ვითარება დაახლოებით ასე გამოიყურება: მასმედიის მიერ გავრცელებული კონტენტში პრაქტიკულად არასოდეს ეთმობა დროს ეთნიკურ უმცირესობებზე საუბარს, მათ პრობლემებს, ყოველდღიურ ყოფას, ტრადიციებს და მათი წარმოჩენა ხდება მაშინ, როდესაც თემში მომხდარი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის წინსვლაზე, განვითარებაზე. თუ გადავხედავთ საქართველოში მოქმედი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ვნახავთ, რომ ძირითადად ხდება ეთნიკური უმცირესობებს მოიხსენიებენ უარყოფით კონტექსტში: კრიმინალი, ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, სეპარატიზმი და სხვა. ქართულ მედიაში უმცირესობების გაშუქების ანალიზისას, დაახლოებით ისეთ დასკვნამდე მიდიხართ, როგორც ეს





**ცნობილი სომეხები საქართველოში**

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს აშენება [მიქაელ არამიანცის](#) სახელს უკავშირდება. 1899 წელს კი მიქაელ არამიანცის შემოწირულობით აშენდა თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია, დღევანდელი განათლების სამინისტროს შენობა.

თბილისის რუსთაველის გამზირზე დღემდე დგას 1912-1915 წლებში მეცენატის [მელიქ აზარიანცის](#) მიერ აშენებული ნაგებობა, რომელიც თბილისური მოდერნის გამოჩენის ძეგლია. მელიქ აზარიანცი ხელმძღვანელობდა [„კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას“](#). ფონდი ინახავდა 100 სოფლის სკოლას, სტიპენდიებით ეხმარებოდა ევროპაში სასწავლებლად წასულ სტუდენტებს.

საქართველოში ცნობილი ქველმოქმედი იყო თბილისელი სომეხი მწერალი [ალექსანდრე მანთაშევი](#). მანთაშევი ფინანსურად ეხმარებოდა უსინათლოთა სკოლას, ხანში შესულთა და ბავშვთა თავშესაფარს. მანთაშევი დააფუძნა სავაჭრო სახლი - ვაჭართა გილდია - რომელსაც წარმომადგენლობა ჰქონდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში. სავაჭრო სახლის შენობაში თბილისის დღევანდელი 43-ე სკოლა მდებარეობს [მიქაელ არამიანცმა](#), [მელიქ აზარიანცმა და ალექსანდრე მანთაშევმა](#) მეოცე საუკუნეში სვეტიცხოვლის რესტავრაციისთვის 150,000 რუბლი გაიღეს. საქართველოში ცნობილია ასევე საქართველოში მცხოვრები სომეხი მეცენატი [გავრილ თამაშევი](#). მისი სახსრებით აშენდა თბილისში ოპერის (სახაზინო) თეატრის პირველი შენობა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა 1847 წლის 15 აპრილს. თამაშევი ფინანსურად ეხმარებოდა ხელოვანებს და პედაგოგებს.

მეცხრამეტე საუკუნის თბილისი სომეხი, და ზოგადად მთელი კავკასიის ინტელექტუალებისა და ხელოვანების ცენტრი იყო. ამ პერიოდში თბილისში მოღვაწეობდა სომეხი მწერალი [ჰოვანეს თუმანიანი](#). თბილისში მან სომეხი მწერლების ლიტერატურული გაერთიანება „ვერნატუნი“ შექმნა.

მეცხრამეტე მეოცე საუკუნეებში საქართველოში მოღვაწეობდნენ ეთნიკურად სომეხი მხატვრები, ფერმწერები, გრაფიკოსები და ილუსტრატორები. მათგან გამორჩეულები იყვნენ ჰაკობ ჰოვნათანიანი, კარაპეტ გრიგორიანცი, ვანო ხოჯაბეკოვი, ჰარუთინ შამშიანი, სარკის ხაჩატურიანი, ვალარშაკ ელიბეკიანი და სხვები.

ქართული კულტურის არსებობა წარმოდგენილია რეჟისორისა და მხატვრის [სერგო ფარაჯანოვის](#) შემოქმედების გარეშე. ფარაჯანოვი დაიბადა და გაიზარდა თბილისში.

გამოცემა “საქართველო და მსოფლიოს” ჟურნალისტის [სტატიაში](#) ეწერა [„ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მტრები არიან და რაც მთავარია, ამას საჭაროდ აღიარებენ“](#) (ბესო ბარბაქაძე, „საქართველო და მსოფლიო“).

[საქართველო ყველას საერთო სამშობლოა](#) მხოლოდ ლოზუნგად მანამ დარჩება სანამ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა სწორედ ერთიანი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბებას არ მოემსახურება, და ზუსტად ისე როგორც ქართველი გმირები, მეცენატები, სხვადასხვა სფეროს მოღვაწეები ქვემოთ მოხსენიებული ადამიანებიც არ დაიკავებენ კუთვნილ ადგილს საქართველოს ისტორიის, კულტურის მონაპოვრების, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისთვის.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს და მსგავსი ტიპის ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა იწვევს ყველაზე უფრო სწრაფ და ეფექტურ ინტეგრაციას. სახელმწიფოს ერთად შენებისა და მისი გაძლიერებისათვის განუვალ ერთობლივ ძალისხმევებზე მეტად არაფერი აახლოებს ადამიანებს და შესაბამისად ეთნოსებსა და კულტურებს. როგორც ერთნიკურად სომეხი, ასევე აზერბაიჯანელი მოღვაწეების ღვაწლისა და წვლილის ცოდნა და გააზრება სწორედ ამგვარი შესაძლებლობის ფანჯარაა, და სახელმწიფო ენისა და პედაგოგების პროგრამების პარალელურად უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოსთვის სწორედ ამ კუთხით მოდიფიცირება.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა განწყობების კვლევით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ენის ცოდნა საკმარისია, თუმცა ავიწყდებათ სხვა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინტეგრაციაში. სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია და თავსებადობა რთული და მრავალნაზხნაგოვანი პროცესია და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ენის სრულფასოვნად ფლობის გარდა უამრავ ელემენტს მოიცავს.

კულტურული გაუმცობის, აღვიწოგოვი  
კულტურის ნაწილის და ქართული კულტურის  
ლომინაციის ნიშნები

სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთმანეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენის მიზეზებიდან ერთ-ერთი შეიძლება იყოს ერთმანეთის კულტურის შესახებ ნაკლები ინფორმაციის ქონა. გამოკითხული რესპონდენტებიდან ერთ-ერთი ამბობს: “ერთი რამ ნათელია, ახლოს ვართ, მაგრამ ახალმა თაობებმა ძალიან ცოტა იციან ერთმანეთზე”. კვლევის რესპონდენტი ინნა სუქიასიანი ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს:

კვლევის რესპონდენტი: ინნა სუქიასიანი

“ძალიან ბევრ ადამიანს საერთოდ არ ესმის რატომ არის მულტიკულტურული ეს ქალაქი და ეს ქვეყანა, საიდან ავლმონდით საერთოდ აქ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, ხოდა აი ეს ყველაფერი ერთად, ეს არის იმის შედეგი, რომ არ ვიცნობთ ერთმანეთს”.

კვლევის კიდევ ერთი რესპონდენტი ტიგრად ტარზიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალგაზრდები დემოკრატიული ცვლილებებისთვის გვიყვება:

“საქართველო არის მრავალკულტურული ქვეყანა მაგრამ კულტურა არადომინანტურ თემის წარმომადგენლებში უკანა პლანზეა, რადგან აქაც ადგილობრივი თვითმმართველობა და ამ დარგის ადამიანები პასურობენ და მთლიანად პოლიტიზირებულია. ათასი წლეულია ერთად ვცხოვრობთ სხვადასხვა ეროვნების ხალხი და განა ჩვენი კულტურა მართლ ტოლმის ფესტივალია ან ხალხური მუსიკის და ცეკვის კონცერტი?”.

რესპონდენტების მიერ აღნიშნულს კი ემატება ისიც, რომ არა თუ არ ტარდება დამატებითი ღონისძიებები და არ არის ახალი ინიციატივები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურების დომინანტურ კულტურასთან დასაახლოებლად, არამედ ინგრევა და იჩქმალება ის, რაც მათთან საუკუნეებია დაკავშირებულია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ სადავო სომხური ეკლესიების დაუსრულებელი საგა საქართველოში. საქართველოს ტერიტორიაზე 6 სადავო ეკლესიაა. სომხური მოხსენიებით ესენია: „ნორაშენ“; „შამხორეცოც სურბ ასტვანაწინ“ (კარმირ ავეტარანოც); „სურბ მინას“;

„სურბ ნშან“; „მუღნუ სურბ გევორგ“ თბილისში და „სურბ ნშან“, ახალციხეში. სადავო ეკლესიების ნაწილი პერიოდულად ინგრევა და მესაკუთრის თაობაზე არსებული დავის გამო რეალურად პატრონი და მიმხედავი არ ყავს. მაგალითად, 2014 წელს ჩამოინგრა სურბ მინას ეკლესიის სახურავი, 2012 წელს ჩამოინგა სურბ ნშან ეკლესიის სვეტი და შემოსასვლელი. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, თუნდაც სადავო კულტურული ძეგლების ამგვარი უგულვებელყოფა საფრთხის ქვეშ აყენებს კულტურული ძეგლების არსებობას, და იმავდროულად ხელს არ უწყობს ეთნოსებსა და რელიგიებს შორის დაახლოებას.

## შეჯამება და რეკომენდაციები

როგორც კვლევამ გამოავლინა, იკვეთება მასშტაბური პრობლემები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და რეალური თანასწორობის პოლიტიკის იმპლემენტაციის მიმართულებით, რაც უმცირესობის თემის გარიყულობასა და მარგინალიზებას იწვევს. საქართველოს სახელმწიფომ უნდა გაატაროს კომპლექსური, ინკლუზიზაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული ზომები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეფექტიანი ჩართულობისა და საერთო-სახელმწიფოებრივ კონტექსტში მათი წარმომჩენის გაზრდის მიმართულებით. საქართველო უნდა გადავიდეს სამოქალაქო ნაციონალიზმის მშენებლობის დეკლარირებული კურსიდან რეალური განხორციელების გზაზე, სადაც მთავარია ქვეყნის მოქალაქეობა და არა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება.

## საქართველოს მთავრობას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

### უმცირესობების მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში:

- ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი; გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეფექტიანი მონაწილეობის გაზრდის მიმართულებით;
- საქართველოს მთავრობამ, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, შეიმუშაოს სახელმწიფო ენის საშუალო სკოლებში რეალური და ინტენსიური სწავლების სპეციალური პროგრამები;
- მანამ სანამ ქვეყანაში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ცოდნა კვლავაც დიდ გამოწვევად რჩება, სახელმწიფომ უზრუნველყოს უმცირესობების უფლება, მათთვის გასაგებ ენაზე, დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან;
- სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისთვის, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას, შეიქმნას თარგმანის შესაბამისი რესურსები;

### განათლების პოლიტიკა:

- შესწავლი იქნას, არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებლების მომზადების დონე და სწავლების ხარისხი, რათა იდენტიფიცირებულ იქნას სწავლა-სწავლების დროს

არსებული ხარვეზები; კვლევებზე დაფუძნებით, შემუშავებულ იქნას რელევანტური პოლიტიკა, სპეციალური პროგრამების დანერგვის მიზნით;

- საქართველოს საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნას მულტულტურალიზმისა და რელიგიური მრავალფეროვნების საკითხები;
- სახელმძღვანელოების შინაარსი უნდა მოიცავდეს ტოლერანტობის, თანასწორობისა და ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხებს; სახელმძღვანელოები უნდა მოიცავდეს სოლიდარულობის ტექსტებს, კულტურის ურთიერთგაცნობისა და საერთოსახელმწიფოებრივი გააზრების საკითხებს;
- უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სკოლების სახელმძღვანელოებში ქართული სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერების საქმეში უმცირესობების მიერ შეტანილი წვლილის სწავლება.

ამით წვლილი შეიტანონ ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ინტეგრაციაში;

- გაატარონ შესაბამისი ზომები, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის დაცვის მიმართულებით;
- უზრუნველყონ საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმონივნისას მისი მრავალფეროვნების, როგორც მთავარი და მნიშვნელოვანი განძის, ასახვა.

## საზოგადოებრივ გაუწყობას

### უმცირესობების გაშუქების საკითხები:

- ხელი შეუწყოს უმცირესობების ხილვადობის გაზრდას და მათ ინტერესებზე ორიენტირებული გადაცემების გაშუქებას;
- გაატაროს შესაბამისი ზომები, ინტერეთნიკური დიალოგისა და მულტიკულტურალიზმის ხელშეწყობის მიმართულებით;

## კომიუნიკაციას და საჯარო პიკებს

- უმცირესობების საკითხებზე დისკუსიისას, გააკეთონ თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებები და

## ზეკინთა განმარტებები

**1. უმცირესობები** - უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც „რიცხოობრივად ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და არის არადომინანტურ პოზიციაში, რომლის წევრებიც ფლობენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც განსხვავდება დომინანტური მოსახლეობისგან და რომლებიც ინარჩუნებენ სოლიდარობის გრძნობას მათ კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებაში“ (ფრანცისკო კაპოტორტის სახელმძღვანელო განმარტება).

**2. ქსენოფობია** - ქსენოფობია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შიშს უცხოელის მიმართ“. ეს არის შფოთვა, რომელიც ყოველივე უცხოს მიმართ ნეგატიური სტერეოტიპული დამოკიდებულებებითა და წინასწარ განსჯებით ხასიათდება. ეს შიში განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2523>

**3. შოვინიზმი** - ეს სიტყვა ექსტრემალური პატრიოტიზმისთვის დამახასიათებელი იმ ბრმა რწმენის აღსანიშნავად დამკვიდრდა, რომ მავანის ნაცია და კულტურა აბსოლუტურად უკეთესია სხვებისაზე და მათზე მაღლა დგას. შოვინიზმი ასევე გულისხმობს, რომ შოვინისტს აქვს გადაჭარბებული თავდაჯერებულობა და საკუთარი თავის თანდაყოლილი აღმატებულობის რწმენა ყველას მიმართ, ვინც მის კულტურას ან ერს არ მიკუთვნებს. <http://dictionary.css.ge/content/chauvinism>

**4. რასიზმი** - რეაქციული იდეოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანთა რასის ვითომდა ბუნებრივ, ბიოლოგიურ, წინასწარგანსაზღვრულ არაერთფასოვნებასა და მათ „მაღალ“, „დაბალ“, „სრულფასოვან“, „არასრულფასოვან“ დაყოფაზე, რომელიც ერთი რასის მეორეზე ბატონობის საფუძველს იძლევა. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6018>

**5. რასობრივი დისკრიმინაცია** - ნებისმიერი განსახვავება, განსაკუთრებულობა, შეზღუდვა ან უპირატესობა, დაფუძნებული რასაზე, ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმოშობაზე, რომელიც მიზნად ისახავს გააუქმოს ან ხელი შეუშალოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობას ან განხორციელებას თანაბარ საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ან სხვა სფეროში. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi7.pdf>

**6. დომინაცია** - ერთი ადამიანის ან სოციალური ჯგუფის მიერ მეორეზე ძალაუფლების განხორციელება და მისი კონტროლი. <http://dictionary.css.ge/content/dominance>

**7. ექსტრემიზმი** - პოლიტიკური პრობლემების უკიდურესი გზებითა და საშუალებებით გადაჭრისაკენ მიდრეკილება. ექსტრემიზმი პოლიტიკაში გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ყველაზე რადიკალური საშუალებების მოხმობას, მათ შორის, ძალადობის, ტერორის გამოყენებას. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4193>



[83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-16-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E](https://www.amedinews.ge/ge/samartali/145422/susi-garkveuli-jgupebi-qvemo-qartlsa-dakakhetshi-qartvelebsa-da-azerbaijanelebs-shoris-shuglis-gagvivebas-tsdiloben)

17. Imedinews.ge. (2020, 05 30). „სუსი: გარკვეული ჯგუფები ქვემო ქართლსა და კახეთში ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის გაღვივებას ცდილობენ”. <https://imedinews.ge/ge/samartali/145422/susi-garkveuli-jgupebi-qvemo-qartlsa-dakakhetshi-qartvelebsa-da-azerbaijanelebs-shoris-shuglis-gagvivebas-tsdiloben>
18. Interpressnews.ge. (2020, 05 2). „ამირან გამყრელიძე მარნეულში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრისას დღეს გაჟღერებულ ფრაზებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს”. <https://www.interpressnews.ge/ka/article/597872-amiran-gamqrelize-marneulshi-adgilobrivi-xelisuplebis-carmomadgenlebtan-samushao-shexvedrisas-dges-gazhgerebul-prazebtan-dakavshirebit-ganmartebas-aketeb/>
19. Ipress.ge. (2020, 05 1). „ბოლნისში ადგილობრივმა მოსახლეობამ ექიმებს კორონავირუსით ინფიცირებულთა კლინიკაში გადაყვანის საშუალება არ მისცა”. <https://ipress.ge/new/bolnissshi-adgilobrivi-mosakhleobam-egimebs-koronavirusith-inphitsirebultha-klinikashi-gadaqhvani-sashualeba-ar-mistsa/>
20. O.Jam-news.net.ge. (2019, 02 27). „მარიამ ჯაში: აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც ქართველ აზერბაიჯანელებს აქვთ”. <https://jam-news.net/ge/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5/>
21. Jam-news.net.ge. (2020, 04 16). „შეიხი მირთაგი ასადოვი სუს-ში დაიბარეს. გამოძიება საბოტაჟის მუხლით მიმდინარეობს”. <https://jam-news.net/ge/sheikhi-mirtagi-asadovisus-shi-daibares-gamodzieba-sabotadjis-mukhlit-mimdinareobs/>
22. Mammadli, K. (2020, 03 24). „ინფორმაცია აზერბაიჯანელი თემის კამპანიის შესახებ”. <https://www.facebook.com/kamran.mamedov3/posts/4227002153992129>
23. Marneulifm.ge. (2020, 04 15). „#დაასიგნალე, #გააპროტესტე - მარნეულელების საპროტესტო აქცია კომენდანტის საათის დროს”. <https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/28915>
24. Marneulifm.ge. (2020, 03 25). „კორონავირუსის ახალი სიმპტომი - ქსენოფობია”. <https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/28034-koronavirusis-akhali-simptomi-qsenofobia>
25. Mtavari.tv. (2020, 05 4). „პროტესტი ქსენოფობიას - საზოგადოება ზაზა აბაშიძეს უპირისპირდება”. <https://mtavari.tv/news/3951-protesti-ksenopobias-sazogadoeba-zaza-abashidzes>
26. Mtavari.tv. (2020, 05 25). „ქართული ეკლესიის რუსული მოტივები - მეუფე გიორგი ჯამდელიანის სკანდალური ქადაგება”. <https://mtavari.tv/news/5636-kartuli-eklesiis-rusulimotivebi-meupe-giorgi>
27. netgazeti.ge. (2020, 03 26). „კრიზისმა გამოააშკარავა ქსენოფობია და უთანასწორობა – ქამრან მამედლი”. <https://netgazeti.ge/news/438067/>
28. Radiotavisupleba.ge. (2019, 11 2). „დომინანტური მხერა საქართველოს აზერბაიჯანული თემის მიმართ”. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>

[3%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1](https://www.smr.gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa)

29. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“. <https://www.smr.gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa>
30. ალილო მარნეულში. (2020, 03 13). „სვანები კი არ უნდა გავასახლოთ, არამედ კიდევ უფრო ბევრი უნდა ჩავასახლოთ ქვემო ქართლში!!! ნიკოლოზ მუავანაძე“. <https://www.facebook.com/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98-359561074407687/videos/207815850328671/>
31. ქვემო ქართლის მხარე (2018, 07 5). „ქვემო ქართლი 2018“. <https://www.facebook.com/KvemoQartli/videos/1792717770786947/>
32. სალამ, SALAM. . (2020, 03 27). „ვირუსი არ ასხვავებს ეთნიკურ წარმომავლობას. ვემიჯნები სიძულვილის ენას. მე ვირჩევ თანადგომას.“. <https://www.facebook.com/SalamGeorgia/posts/206977754050287>
33. 33.სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (2020, 05 30). „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“. <https://ssg.gov.ge/news/597/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-saxelmtsifo-usafrtxoebis-departmentma-rasobrivi-diskriminaciis-faqtze-gamodzieba-daitsyo>
34. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“(2016, 07). „ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: მედიის მეშვეობით ჩართულობიდან გაძლიერებისკენ“. [https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi\\_A4\\_Media\\_GEO.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_Media_GEO.pdf)
35. COUNCIL OF EUROPE, (2019, 03 7). „ADVISORY COMMITTEE ON THE FRAMEWORK CONVENTION“(Third Opinion on Georgia). <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56?fbclid=IwAR2SAJxrUXjd0ciLySFH0I5DNP-0N0Q5m-ql082t7AdAUZwAzLJ-xsswIA>



1. Oktai Kazumov-ბორდის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია - „Salam“;
2. Kamilla Mamedova -დირექტორი, სათემო რადიო “მარნეული” ;
3. Kamran Mammadli- სამოქალაქო აქტივისტი; პლატორმა - „Salam“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი;
4. Leila Mamedova- ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის აქტივისტი, უფლებადამცველი;
5. Nona Samkharadze - სამოქალაქო აქტივისტი, საერთაშორისო ორგანიზაცია “მერსი ქორდს“-ის ინფორმაციის კოორდინატორი.
6. Zaur Khalilov-სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი - CIF
7. Ravil Məmmədov-სამოქალაქო აქტივისტი, სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრის დამფუძნებელი,
8. Samira Bayramova - ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის აქტივისტი; ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის
9. Elnur Alisoy- სამოქალაქო აქტივისტი; პლატფორმა - „Salam“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი;
10. Aitaj Khalilli- სამოქალაქო აქტივისტი; პლატფორმა „Salam“-ის ბორდის წევრი;
11. Paata Zakareishvili-საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.
12. Tamta Mikeladze - EMC-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, დირექტორთა საბჭოს წევრი.

# ორგანიზაციები ეროვნულ დონეზე

1. სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული & ევროატლანტიკური არჩევანისთვის (სამოქალაქო იდეა) - <https://civicidea.ge/>
2. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)- <https://emc.org.ge/>
3. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)- <https://www.tdi.ge/>
4. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)- <https://www.gdi.ge/ge/>;
5. მრავალეროვანი საქართველო (PMMG) - <http://www.pmmg.org.ge/> ;
6. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი (CIF) - <https://cif.org.ge/>
7. ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)- <http://www.hridc.org/?lang=ge>
8. Salam - სალამ-<https://www.facebook.com/SalamGeorgia>
9. ქართველ მუსლიმთა კავშირი(GMU)-<https://islam.ge/>
- 10.საფარი-<https://sapari.ge/>
- 11.სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)- <http://www.isfed.ge/>
12. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)- <https://grass.org.ge/ka>
- 13.საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)- <https://transparency.ge/>
- 14.საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)- <https://gyla.ge/ge>
15. არა ფობიას!- <http://notophobia.ge/>

1. Council of Europe Office in Georgia-<https://www.coe.int/en/web/tbilisi>
2. High Commissioner on National Minorities-<https://www.osce.org/node/107881>
3. UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE ON THE HIGH COMMISSIONER - <https://www.ohchr.org/EN/pages/home.aspx>
4. AMNESTY INTERNATIONAL- <https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/>
5. Human Rights Watch-<https://www.hrw.org/europe/central-asia/georgia>

# სამომხარაქმ ჩქქქ

ღიზიანი / ღამქაბაღმნებელი:

თამარ ტყაბღაძე

ქვღავაბე ბუბამბღნე:

თამარ ავღღანი

ნანა აქოფღანი

ზურაბ ახმბაძე

თიღათიღნ ხიღაბელი

ბიორბი ქანაბვიღი

თარბბნა:

ბას „ვერსიი“

**Virus of Urgency  
Report #2**